

თბილისის

ვანო

სარაჯიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორიის

ტრადიციული

მრავალხმიანობის

კვლევის

საერთაშორისო

ცენტრის

ბიულეტენი

თბილისი, ივნისი, 2017

№22

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ისლამ ფილფანის გახსენება

დიტერ ქრისტენსენის გახსენება

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები
ანსამბლი „იბერია“ ფინეთიდან

ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი
„ერთობა“

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ
მერი-სოფია ლაკოპულოსი
„ჩემი გზა ქართული სიმღერისაკენ“

ერთი ახალი გამოცემის შესახებ
სვანური ხალხური სიმღერები

უცხოური პოლიფონია
ალბანური მრავალხმიანობა

ტრადიციული საოჯახო ანსამბლი
ურუშაძეები

ძველი პრესის ფურცლებზე
„ქართული მრავალხმიანობა – ეს შედეგია“

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ
„ლიფანალ“

ქართული კულტურისა და მეცნიერების კერები
შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების
მუზეუმი

ერთი საკრავის შესახებ
„ქართული გარმონი“

ქართული ხალხური საბავშვო თამაშები

ქართული ხალხური სიმღერა-თამაშები

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი, 2017)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

2.04-3.06.2017 – საქართველოს საგუნდო საზოგადოებამ ჩაატარა „ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების III ეროვნული კონკურსი“, რომელმაც გამოავლინა საუკეთესო საშემსრულებლო კოლექტივები შემდეგ კატეგორიებში: A – აკადემიური საგუნდო სიმღერა; B – ქართული ხალხური სიმღერა; C – ქართული საეკლესიო გალობა.

1-31.05.2017 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ საიუბილეო ფესტივალით აღნიშნა მისი დაარსებიდან 100 წლისთავი.

2.05.2017 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონსერვატორიის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ფესტივალის ფარგლებში ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტი გაიმართა თბილისური ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.

19.05.2017 – ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „გორდა“ მიწვეული იყო რუსეთში, ქ. მოსკოვში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალზე „მაისის ასამბლეა“.

25-28.05.2017 – სიენის ჯაზის აკადემიაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „კულტურული მემკვიდრეობა და მუსიკალური ფესტივალები ევროპაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მეცნიერებმა – ეთნომუსიკოლოგმა ნინო კალანდაძემ და ეთნოლოგმა ნინო ღამბაშიძემ.

30.05-8.06.2017 – აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა „ბავშვთა ხალხური შემოქმედების ოლიმპიადა“ მუსიკალური და ქო-

რეოგრაფიული კოლექტივების მონაწილეობით.

3-4.06.2017 – მარტყოფის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა ფოლკლორული ანსამბლი „აკრიანი“ მიწვეული იყო თურქეთში, ქ. სტამბოლში გამართულ „ფერას პირველ საერთაშორისო საგუნდო ფესტივალზე“.

8.06-12.06.2017 – ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ნანიანა“ მიწვეული იყო ლატვიაში „ბურდონული მუსიკის V საერთაშორისო ფესტივალზე“.

12.06.2017 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა რესპუბლიკური კონფერენცია და ფოლკლორული კონცერტი.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

12.02.2017 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა მგალობელ-მომღერალთა ანსამბლ „პატარა კახის“ აუდიოალბომის პრეზენტაცია.

9.03.2017 – საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ანსამბლ „დიდგორის“ მესამე აუდიოალბომის პრეზენტაცია.

10.05.2017 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა სანოტო კრებულის „აჭარული ხალხური სიმღერები“ და ოთხდისკიანი აუდიოალბომის „აჭარული ტრადიციული მუსიკა“ პრეზენტაცია.

16.05.2017 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ქ. ბათუმში სალოტბარო სკოლა გახსნა.

20.05.2017 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა მუსიკოლოგიური შეხვედრა თემაზე: „სასიმღერო და საკრავიერი მუსიკის შემსრულებლობის საკითხები“.

29.05.2017 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ქ. თელავში სალოტბარო სკოლა გახსნა.

9.06.2017 – თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის, მიხეილ მცურავიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი აუდიოალბომის „ჩემი სიმღერა“ პრეზენტაცია.

20.06.2017 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ია კარგარეთელის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

22.06.2017 – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ანსამბლ „იალონის“ პროექტის „შემოქმედებით-საგანმანათლებლო ტურები საქართველოს რეგიონებში“ შედეგების პრეზენტაცია.

ექსპედიციები

ა(ა)იპ ფონდ „ჰეიამოს“ თანადამფუძნებელმა და დირექტორმა გიორგი კრავეიშვილმა ჩაატარა ექსპედიციები:

11-12.02.2017 – ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში – კვარიათსა და გონიოში მცხოვრებ ლაზებთან.

6-9.06.2018 – დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ ინგილოებთან.

გასტროლები

7.01.1.2017 – ბერლინის ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველო-გერმანიის წლისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი სახელწოდებით “Georgia on my Mind”, რომელშიც მინაწილეობის მისაღებად მიწვეულები იყვნენ ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მძლევარი“.

10.01-13.02.2017 – მაგალობელ-მომღერალთა გუნდი „ადილეი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა აშშ-ში, სადაც ჩაატარა კონცერტები, მასტერკლასები, სემინარები და გამოსცა გრამ-ფირფიტა.

4.04.2017 – ანსამბლმა „რუსთავმა“ ლატვიის ქალაქ რიგაში სოლო კონცერტი გამართა.

5.05-15.05.2017 – მაგალობელ-მომღერალთა გუნდი „ადილეი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა იტალიაში, სადაც ჩაატარა კონცერტები და მასტერკლასები.

14-15.06.2017 – საქართველოს სახელმწიფო ანსამბლები „ბასიანი“ და „რუსთავი“ პიანისტ გიორგი მიქაძესთან ერთად მიწვეული იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქ. პეკინში საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

20-24.06.2017 – ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა პოლონეთში, ქ. კრაკოვში.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები

1.01.2017 – ჯანსუღ კახიძის სახელმწიფო მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა ანსამბლ „რუსთავის“ სოლო კონცერტი.

15.02.2017 – ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში მოეწყო საღამო სახელწოდებით „სიყვარული ქართულ ფოლკლორში“.

21.03.2017 – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ანსამბლ „რუსთავის“ სოლო კონცერტი.

17.05.2017 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა „ძველი და ახალი ხევისურეთი“.

21.05.2017 – ჩოხატაურის რაიონის კულტურის სახლში გაიმართა ანსამბლ „სახიობისა“ და ადგილობრივ მომღერალ-მგალობელთა გუნდ „ამაღლების“ ერთობლივი კონცერტი და „ამაღლების“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია.

22.05.2017 – რუსთაველის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ რიგით მეხუთე დაჯილდოება-კონცერტი.

23.05.2017 – საპატრიარქოს ტელევიზიის სააქტო დარბაზში ფოლკლორის ცენტრის ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი გაიმართა.

25.05.2017 – რუსთაველის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა ცნობილი ქართველი ფოლკლორისტის, ვახუშტი კოტეტიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

25.05.2017 – სიენას ჯაზის აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგებმა ერთობლივი კონცერტი გამართეს ჯაზის კოლეჯის საკონცერტო დარბაზში.

25,26,28.05.2017 – პროექტ „Made in Georgia“-ს ფარგლებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში, კლუბ 33ა-სა და თელავის დრამატულ თეატრში ჩატარდა ჰოლანდიურ-ქართული კონცერტები, რომელშიც მონაწილეობდნენ: ჰოლანდიის ჩასაბერ საკრავთა ანსამბლი, „ანჩისხატის ტაძრის გუნდი“, ანსამბლი „ადილეი“, გორის ქალთა გუნდი, ნიაზ დიასამიძე და ლევან ცხადაძე.

25.05.2017 – რუსთაველის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ხალხური პოეზიის საღამო „ლექსო, არ დაიკარგები“.

26.05.2017 – ქ. მცხეთაში გაიმართა ანსამბლ „რუსთავის“ სოლო კონცერტი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა.

27.05.2017 – პროექტის „ღამე მუზეუმში“ ფარგლებში ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა თბილისური ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი სახელწოდებით „მომღერალი საქართველო“.

27.05.2017 – პროექტის „ღამე მუზეუმში“ ფარგლებში მუშტაიდის კულტურისა და დასვენების ბაღში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „მუშტაიდის გაცოცხლებული ისტორიები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

9.06.2017 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა საპატრიარქოს „წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა-პანსიონის“ მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა.

9.06.2017 – ქ. საჩხერის კულტურის ცენტრში გაიმართა წმ. ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა-პანსიონის მგალობელ-მომღერალთა ანსამბლ „ტევანის“ პირველი საანგარიშო კონცერტი.

14.06.2017 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა მომღერალ-მგალობელ ვაჟთა ანსამბლ „ერთობის“ სოლო კონცერტი და მესამე აუდიოალბომის პრეზენტაცია.

18.06.2017 – ქ. ქუთაისში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის ლურჯ მონასტერთან არსებული ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „ამერ-იმერისა“ და ქუთაისის მ. ბლანჩივადის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის ფოლკლორული გუნდის „ნაი ნაის“ ერთობლივი კონცერტი.


23.06.2017 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა ფილიმონ ქორიძისადმი მიძღვნილი ვოკალური მუსიკის საღამო.

გამოცემები

ანსამბლ „დიდგორის“ მესამე აუდიოალბომი



ჩოხატაურის რაიონის მომღერალ-მგალობელთა გუნდ „ამაღლების“ პირველი აუდიოალბომი



ანსამბლ „ერთობის“ მესამე აუდიოალბომი



სასწავლო წიგნი სვანური ხალხური სიმღერები. სანოტო კრებული 2 სასწავლო აუდიო-ოქსკით სერიიდან „შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა“ (ტ. I)






ანსამბლ „პატარა კახის“ მეორე აუდიოალბომი



ანთოლოგია „ქართული გალობა“ (I და VIII ტ).

მიხეილ მცურავიშვილის 75 წლის იუბილისადმი მიძღვნილი აუდიოალბომი




სახალხო პოეტ **გაბრიელ გარაშვილის**
პოეტური კრებული.




ისლამ ფილფანის გახსენება

12 მარტს გარდაიცვალა ცნობილი ეთნოფორი, სვანური სიმღერის მოამაგე, ლოტ-ბარი, მომღერალი და მეჭუნირე, სვანური სასიმღერო რეპერტუარის უბადლო მცოდნე და შემსრულებელი, ძველი სასიმღერო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი – ისლამ ფილფანი.

სანოტო კრებული **„აჭარული ხალხური სიმღერები“** და აუდიოალბომი (4 კომპაქტდისკით) **„აჭარული ტრადიციული მუსიკა“.**



ისლამ ფილფანი



მოამზადა მკვა ხარბიანმა

14 წლის ისლამი ბიძას – ალექსი ფილფანს მესტიის სიმღერისა და ცეკვის რაიონულ ანსამბლში მიუყვანია. ახალგაზრდის უნიკალური მუსიკალური მონაცემებით აღფრთოვანებულ პლატონ დადვანს, ასაკის სიმცირის მიუხედავად, უყოყმანოდ მიუღია ანსამბლში ისლამ ფილფანი, რომელმაც მას შემდეგ 70 წლის მანძილზე იღვაწა სვანური ტრადიციული მუსიკის აღდგენა-პოპულარიზაციისათვის. პლატონ დადვანის შემდეგ სწორედ ის ჩაუდგა სათავეში მესტიის რაი-

ონულ ანსამბლს, რომელსაც სახელი „რიჰო“ თავადვე შეურჩია. ანსამბლი დღემდე აქტიურადაა ჩართული საქართველოს ფოლკლორულ ცხოვრებაში და პოპულარიზებას უწევს სვანურ მუსიკალურ ფოლკლორს.

ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ისლამ ფილფანის მოღვაწეობა საქართველოს ფარგლებს გასცდა და უცხოელი მუსიკოსების ყურადღება მიიპყრო. ლოტბარი არაერთხელ იყო მიწვეული ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი) მასტერკლასების ჩასატარებლად, ხოლო ფილფანების სახლი ლენჯერში ზამთარ-ზაფხულ მასპინძლობს სვანური სიმღერებისა თუ ჭუნირზე დაკვრის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელ სტუმრებს. იმედია, ეს ტრადიცია არც ისლამის გარდაცვალების შემდეგ მოიშლება, რადგან საბედნიეროდ, მას დარჩა ღირსეული მემკვიდრეები: შვილები და შვილიშვილები, რომელთაც საოჯახო ანსამბლი „ნანილა“ ჩამოაყალიბეს და წარმატებით აგრძელებენ სვანური სიმღერის პოპულარიზებას. მოღვაწეობას აგრძელებს ანსამბლი „რიჰოც“, რომელსაც ამიერიდან ლოტბარობას ვახტანგ ფილფანი გაუწევს.


2013 წელს საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გალობა“ ისლამ ფილფანი დააჯილდოვა, როგორც „ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე“; 2016 წელს ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მას „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიენიჭა; 2015-2016 წლის საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ დათვალიერება-ფესტივალზე „რიჰომ“ მუნიციპალურ ანსამბლებს შორის I ადგილი დაიმსახურა, ხოლო ფონდმა „ქართული გალობა“ სვანური სიმღერის შენარჩუნება-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ანსამბლი დააჯილდოვა, როგორც „ქართული ფოლკლორის მოამაგე“.

ფონდი „ქართული გალობა“ გამოსაცემად ამზადებს ისლამ ფილფანის მონოგრაფიას. მასში მკითხველი უფრო ახლოს გაეც-

ნობა ლოტბარის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომელიც ქართული მუსიკალური ფოლკლორის სიყვარულისა და ერთგულების საუკეთესო მაგალითია!

მაკა ხარძიანი

დიტერ ქრისტენსენის გახსენება



დიტერ ქრისტენსენი

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი გერმანელ-ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, ქართული მუსიკალური კულტურის დიდი მეგობრისა და გულშემატკივრის, დიტერ ქრისტენსენის გარდაცვალების გამო.

ძნელია დავასახელოთ ეთნომუსიკოლოგიის სფეროში რომელიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთანაც 1960-იანი წლებიდან არ უთანამშრომლია ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორსა და მრავალი წლის განმავლობაში კოლუმბიის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის ცენტრის დირექტორს, დიტერ ქრისტენსენს:

ის იყო UNESCO-ს, ეთნომუსიკოლოგიური საზოგადოების, ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო საბჭოსა და ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს აღმასრულებელ და დირექტორთა საბჭოების წევრი, სხვადასხვა კომიტეტის თავმჯდომარე და გენერალური მდივანი, მათი გამოცემების, მათ შორის, ტრადიციული მუსიკის ბიულეტენისა და ყოველწლიური კრებულის, აგრეთვე, UNESCO-ს ტრადიციული მუსიკის კრებულის რედაქტორი 1980-იანი წლებიდან.

ჩვენ 2001 წლიდან განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა ბ-ნ დიტერთან, რომელიც მხარში ედგა ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილს UNESCO-ში ქართული პოლიფონიის კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარების საკითხის განხილვისას; 2002 წლიდან იგი მუდმივად გვიდასტურებდა თავის ერთგულებას-ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებში მონაწილეობით მსოფლიოს სხვა გამოჩენილ მკვლევრებთან ერთად. დიდი მადლიერებით ვიგონებთ იმასაც, რომ 2003 წელს იგი იყო თბილისის კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის დაარსების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი და მისი საერთაშორისო საბჭოს წევრი. ასევე, დიდია მისი დამსახურება ჩვენი სიმპოზიუმის პოპულარიზებაში. მისი რეკომენდაციით თბილისის სიმპოზიუმს არა ერთი მეცნიერი ეწვია, ხოლო 2012 წელს, VI სიმპოზიუმზე სწორედ მისი ინიციატივით დაიგეგმა მრგვალი მაგიდა თემაზე „ახალი მოსაზრებები ადამიანის ევოლუციასა და ქცევაზე – მრავალხმიანობის როლი თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებაში“.

ამ ყველაფერთან ერთად, ბატონი დიტერი უაღრესად თბილი და კომუნიკაბელური პიროვნება გახლდათ – მისი ულ-

ევი ოპტიმიზმი და იუმორი საოცრად სასიამოვნოს ხდიდა მასთან ურთიერთობას.

მისი ქართველი კოლეგები მუდამ მადლიერების გრძნობითა და სიყვარულით გავიხსენებთ ღვაწლმოსილ მეცნიერს.

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები

ანსამბლი „იბერია“ ფინეთიდან

„იბერია“ არის ქართული ტრადიციული სიმღერის ანსამბლი ჰელსინკში. ჯგუფი 2012 წელს ჩამოყალიბდა ბერი მამა დამასკინოს ოლკინუორისა და ჩემი ინიციატივით.



ანსამბლი „იბერია“

მანამდე ფინეთში ქართული სიმღერის გუნდი არ არსებობდა. იმ დროს აქ ცოტა ქართველი ცხოვრობდა (თუმცა, მათი რაოდენობა არც დღეს არის დიდი) და ანსამბლისთვის ფინეთში მცხოვრები ქართველი პედაგოგის პოვნა შეუძლებელი ჩანდა. იყო მცდელობა დაინტერესებული პირების მოძიებისა სამხრეთ ფინეთში მცხოვრებ ქართველებს შორისაც...

ამჟამად ანსამბლში ოთხი წევრია და არც ერთი მათგანი არ არის ქართველი. ჯგუფის წევრობამდე ყველა მუსიკით იყო

დაკავებული. ზოგს აქვს კლასიკურ, ზოგს კი პოპულარულ ან ფოლკლორულ მუსიკაში მუშაობის გამოცდილება. თავიდან „იბერიას“ საკუთარი სტილი საერთოდ არ ჰქონდა: ჯგუფის რეპერტუარს შეადგენდა პოპულარული ხალხური სიმღერები, რამდენიმე ძალიან ტრადიციული სარიტუალო სიმღერა, საეკლესიო საგალობლები და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, გიორგი ცაბადის რომანსები, რომლებიც ერთმა ქართველმა ქალბატონმა შემოგვთავაზა და ნოტებიც კი მოგვანოტა! შემდგომში დავამატეთ ინოლა გურგულიას სიმღერებიც, რომლებიც მე ფინურად ვთარგმნე.

„იბერიის“ შექმნამდე რეგულარულად ვუსმენდი ქართულ ხალხურ სიმღერებს და ვცდილობდი ისინი დამოუკიდებლად მესწავლა დამასკინოსთან და ქართული საეკლესიო საგალობლებით დაინტერესებულ ერთ გოგონასთან ერთად.

ჯგუფისთვის სახელი შემოგვთავაზა საქართველოს საქმეების დროებითმა რწმუნებულმა ფინეთის რესპუბლიკაში, ბ-მა კონსტანტინე იოსელიანმა, რომელიც ესწრებოდა ჩვენს პირველ კონცერტს. ბევრი ადამიანი კითხულობდა, თუ რა საერთო ჰქონდა ანსამბლ „იბერიის“ რეპერტუარს ესპანურ მუსიკასთან. ჯგუფის წევრები მათ ხშირად განუმარტავდნენ, რომ ეს ძველი ქართული სახელი იყო.

„იბერიის“ რეპერტუარი შედგება ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასების დროს ნასწავლი, ასევე, კომპაქტური დისკებიდან ან ფირფიტებიდან მოსმენილი ნიმუშებისაგან.

„იბერია“ პირველად საჯაროდ 2012 წლის 30 მაისს გამოჩნდა ჰელსინკის კულტურულ ცენტრში „კაისა“. იმავე დღეში ხუთი წევრი იყო (ორი მამაკაცი და სამი ქალი). რეპერტუარი ტრადიციულ მრავალხმიან სიმღერებთან ერთად გიორგი ცაბადის რომანსებსაც მოიცავდა. ცაბადის ზოგიერთი სიმღერის ფინურად არანჟირე-

ბის ავტორი თავად ანსამბლის წევრები იყვნენ. პირველ კონცერტს ესწრებოდნენ: ფინელები, ქართველები და რამდენიმე რუსი მსმენელი.

მომდევნო წელს „იბერიის“ რეპერტუარი უფრო ტრადიციული გახდა. ჩემ მიერ ქართული ენისა და საგალობლების შესწავლა და ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის პროგრამაში მონაწილეობა ჯგუფს საკუთარი სტილის ჩამოყალიბებაში დაეხმარა.

2012 წლის შემოდგომაზე „იბერიამ“ ჩაატარა საქველმოქმედო კონცერტი დევნილი ქართველი ოჯახების დასახმარებლად. ასევე, წარმატებული იყო ბალდერსში ჩატარებული კონცერტი. აქ აუდიტორია შედარებით დიდი იყო, ვიდრე წინა კონცერტებზე. სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის პარალელურად, „იბერია“ გალობდა ჰელსინკის მართლმადიდებლურ ტაძარში, მღეროდა თეატრებში, წიგნის მაღაზიებსა და კერძო ღონისძიებებზე.

2013 წლის შემოდგომაზე პირადი მიზნების გამო ჯგუფი ორმა წევრმა დატოვა. მომდევნო წელს ერთი მომღერალი საცხოვრებლად ჰელსინკიდან 100 კმ-ით დაშორებულ ტამისაარში გადავიდა. იმავე წელს ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებელი დედაქალაქიდან 450 კმ დაშორებულ იოენსუუში (აღმოსავლეთ ფინეთი) გადასახლდა და განაცხადა, რომ სურდა ბერი გამხდარიყო. იმავე წლის შემოდგომაზე, ჯგუფიდან ორი ქალბატონი წავიდა, მაგრამ ერთი წევრი შემოგვემატა... ამჟამად ანსამბლში ხუთნი ვართ.

მრავალი პრობლემის მიუხედავად, „იბერია“ არსებობას აგრძელებს მეგობრების დახმარების იმედიით.

„იბერიის“ გარდა ჰელსინკში არის ქართული ხალხური სიმღერის სხვა ჯგუფიც – „ძველი პეპელა“. დაახლოებით ოთხი წლის წინ ტუვური ყელისმიერი სიმღერის ერთმა პედაგოგმა, რომელიც, ასევე,

„ერთობა“

ხალხური მუსიკის კონცერტებს აშუქებდა, მთხოვა მისთვის და მისი მეგობრებისთვის მესწავლებინა რომელიმე ქართული ხალხური სიმღერა. ამის შემდეგ მათ კიდევ ერთი ქართული ნიმუში შეჰმატეს რეპერტუარს, თუმცა, ქართულთან ერთად ისინი ზოგჯერ ეპირულ მრავალხმიანობასაც ასრულებენ ბერძნულ და ალბანურ ენებზე.

გარდა ამისა, დედაჩემის კაფეში ფუნქციონირებს ქართული სიმღერის კლუბი სახელად „Emännät“ (მასპინძლები), რომელშიც ფინელი ქალბატონები სიმღერებს საკუთარი სიამოვნებისთვის ასრულებენ. მათი უმეტესობა ერთმანეთს ადრე არ იცნობდა, მაგრამ ქართული სიმღერის მიმართ ინტერესმა ჩვენ ერთმანეთს შეგვახვედრა და დაგვაძვეგობრა, შეიძლება ითქვას, მრავალხმიანმა სიმღერამ გაგვაერთიანა.

როგორც უკვე ავღნიშნე, ჩემთვის ქართული სიმღერა უფრო ჰობია, ვიდრე სერიოზული საქმიანობა. მაგრამ არის თუ არა ქართული ანბანის ლათინური ტრანსლიტერაციის, ახალი ხმების სწავლის, ჩემი მცირე ცოდნის გაზიარების მოტივაცია უბრალოდ ჰობი? ამ მუსიკის სილამაზის გარდა, ენერგიას მამლევს კოლექტიურობის გრძნობა, კონკურენციის გარეშე ადამიანების ერთუზიანობაზე დამყარებული ერთობა. ეს ყველაზე დიდი საოცრებაა.

მერი-სოფია ლაკოპულოსი
ანსამბლ „იბერიის“ ერთ-ერთი
დამფუძნებელი

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ერთობა“ 2013 წელს ჩამოყალიბდა. ანსამბლის ჩამოყალიბების ინიციატორი და მომავალი ხელმძღვანელი, პროფესიით ლოტბარ-რეგენტი, ანსამბლების – „ერისიონისა“ და „სახიობას“ სოლისტი, თორნიკე კანდელაკი იყო. „ერთობის“ წევრთა უმეტესობა ბავშვობიდან ანსამბლ „მძლევარში“ აღიზარდა. საერთო სამეგობროს წევრები ხშირად იკრიბებოდნენ სუფრასთან და ერთადვე მღეროდნენ. სწორედ სამეგობროში გაჩნდა იდეა, რომ ანსამბლი ჩამოეყალიბებინათ. სახელიც ერთობლივად შეურჩიეს. ანსამბლის მიზანი თავიდანვე განისაზღვრა: შექმნილიყო კიდევ ერთი ფოლკლორული ჯგუფი, რომელიც ტრადიციულ, ხალხურ სასიმღერო ნიმუშებს, ასევე, ტრადიციული საშემსრულებლო მანერით შეასრულებდა.



ანსამბლი „ერთობა“

პროფესიით მუსიკოსი მხოლოდ ხელმძღვანელია. ანსამბლის წევრებს სპეციალური მუსიკალური განათლება არ მიუღიათ. მათ შორის არიან: იურისტი, ბულალტერი, საბანკო მოხელე... სხვადასხვა პროფესიის ეს ადამიანები ქართული სიმღერა-გალობის სიყვარულმა გააერთიანა.

მათი უმეტესობა სხვადასხვა ტაძარშიც გა-
ლობს.

გუნდის ჩამოყალიბების საწყის ეტა-
პზე რვანი იყვნენ. ამჟამად მათი რაოდე-
ნობა თხუთმეტი: თორნიკე კანდელაკი,
ამირან რამიშვილი, ბაჩო მუშკუდიანი,
თაზო გოგია, თემურ ვაშაკიძე (I ხმები);
გიორგი კობაიძე, ბექა საღრიშვილი,
თორნიკე კობახიძე, დათო ცერცვაძე (II
ხმები); აკო გაგომიძე, კარლო კონტრიძე,
ბაჩო საგანელიძე, გიორგი კონტრიძე, ბექა
გრიგალაშვილი, გიორგი ჩაჩუა (ბანები).

ანსამბლის რეპერტუარში საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხის 50-მდე სიმღერაა.
მათი უმრავლესობა ძველი საექსპედიციო
ჩანაწერებიდან აქვთ ნასწავლი. მიაჩნიათ,
რომ ეს ის წყაროა, სადაც სიმღერის ხასი-
ათი ყველაზე კარგად ჩანს, თუმცა, არც თუ
იშვიათად, მეორეულ ფოლკლორულ ჩანაწე-
რებსაც მიმართავენ. სანოტო ვარიანტებს
„ერთობის“ წევრები მხოლოდ საგალობ-
ლების შესასწავლად იყენებენ. რამდენადაც
ეს ანსამბლის შესაძლებლობის ფარგლებშია,
ცდილობენ, საქართველოს თითქმის ყველა
კუთხის სიმღერები შეასრულონ. თუმცა,
გუნდის წევრთა უმეტესობა წარმოშობით
დასავლეთ საქართველოდანაა და, შესა-
ბამისად, რეპერტუარშიც დასავლურქართუ-
ლი სიმღერები ჭარბობს.

ანსამბლის რეპერტუარს ძირითადად
ლოტბარი განსაზღვრავს და სიმღერების
სწავლის პროცესსაც ის ხელმძღვანელობს.
„თავდაპირველად „შავ“ მასალას ვსწავლ-
ობთ; უკვე შემდეგ ვახდენთ დეტალებზე
კონცენტრირებას. მუშაობის პროცესში ბი-
ჭებიც აქტიურად არიან ჩართული. ყო-
ფილა შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ
სიმღერაში თავადვე აღმოუჩენიათ საინტე-
რესო დეტალები. იმპროვიზაციის კუთხით
თავისუფლები ვართ. მე არ ვთხოვ ბი-
ჭებს, ჩანაწერის ზუსტი კოპირება მოახ-
დინონ. შეიძლება ითქვას, რომ საშემსრუ-
ლებლო თვალსაზრისით, მათ სრული

თავისუფლება აქვთ. მთავარია, რომ იმპ-
როვიზაცია ამა თუ იმ კუთხის სასიმღერო
მანერის არეალს არ გაცდეს, გემოვნებით
და, რაც მთავარია ბუნებრივად იყოს შესრუ-
ლებული“ – გვითხრა თორნიკე კანდელაკ-
მა.

განსხვავებული მიდგომა აქვთ საეკ-
ლესიო საგალობლების შესრულებისადმი.
რადგანაც ეს პროფესიული მუსიკის სფე-
როა, მიაჩნიათ, რომ ის თავისუფლება, რაც
ხალხური სიმღერების შესრულებას ახასია-
თებს, ამ შემთხვევაში, გაუმართლებელია.
საეკლესიო გალობას თავისი ჩარჩოები
აქვს, რომელსაც ემორჩილებიან. ამ ეტაპზე
საგალობლებს „ერთობის“ რეპერტუარში
დიდი ადგილი არ უჭირავს, თუმცა, სა-
მომავლოდ აპირებენ საეკლესიო საგალობ-
ლების ცალკე დისკად გამოცემასაც.

ანსამბლი საკმაოდ აქტიურ შემოქმე-
დებით ცხოვრებას ეწევა: კონცერტებს მარ-
თავს, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის
ფარგლებს გარეთ. 2015 წელს პოლონეთში
იმყოფებოდა, 2014-2016 წლებში „ერთობის“
მცირე შემადგენლობა ორჯერ იყო ქალაქ
ბაქოში;

2016 წელს ორი სოლო კონცერტი
ჰქონდათ ქალაქ ბათუმში – პროექტ “Check
in Georgia”-ს ფარგლებში გამართულ ფეს-
ტივალზე; ამავე წელს სოლო პროგრამა
წარმოადგინა ქართული ხალხური სიმღე-
რისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმ-
ში გამართულ ღონისძიებაზე – „ღამე
მუზეუმში“ და საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრში; აქტიურად მონაწი-
ლეობს ფესტივალებშიც: 2014 წელს მონა-
წილეობა მიიღო ფესტივალ „არტ გენში“,
2015-2016 წლების საქართველოს ფოლკლო-
რის ეროვნულ ფესტივალში კი ლაურეატის
წოდება დაიმსახურა.

ანსამბლს გამოცემული აქვს სამი
აუდიოალბომი.

14 ივნისს, თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის დიდ დარბაზში „ერთო-

ბამ“ სოლო კონცერტი გამართა, რომლის ფარგლებში მოაწყო მესამე აუდიოალბომის პრეზენტაციაც.

წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებთ ანსამბლ „ერთობას“ შემოქმედებით ასპარეზზე!

სოფო კოტრიკაძე

ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ

„ჩემი გზა ქართული სიმღერისკენ“



მერი-სოფია ლაკობულოსი

მე გახლავართ თავისუფალი ფინელი მუსიკოსი და თარჯიმანი (ბერძნული და სპარსული ენები) ჰელსინკიდან. გავიზარდე ჰელსინკის აღმოსავლეთ ნაწილში, ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები გავატარე როგორც კლასიკური, ისე ხალხური მუსიკის გარემოში. 17 წლის ასაკში აქტიურად დავინტერესდი ხალხური მუსიკით. ჩემ მუსიკალურ საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ

ხალხურ სიმღერას. ვთვლი, რომ ის ჩემი სერიოზული ჰობია, რომელიც ამდიდრებს, ჩემი, როგორც მუსიკოსის იდენტობას.

მინდა მოგიხსენოთ, როგორ მოხდა ჩემი შეხვედრა ქართულ ხალხურ მუსიკასთან და როგორ დავიწყე მისი კვლევა.

1990 წელს საქართველოს სსრ-დან ჩამოსულმა ანსამბლმა „იმერი“ კონცერტი ჩაატარა ჰელსინკის ვუოსაარის რაიონში მდებარე პატარა ლუთერანულ ტაძარში რომელსაც მე, მაშინ 12 წლის, ოჯახთან ერთად დავესწარი.

შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ 26 წლის შემდეგაც კი ყველა დეტალი მახსოვს. პირველ რიგში, დამამახსოვრდა კავკასიურ ტრადიციულ ჩოხაში ჩაცმული, სერიოზული გამომეტყველების მქონე ახალგაზრდა მამაკაცები. პირველივე სიმღერის რიტმმა ერთი ადრე მოსმენილი უნგრული სიმღერა გამახსენა, სიმღერის პროცესში სუნთქვის თავისებურებამ კი – ბერძნული და ფინური ხალხური სიმღერა; მაგრამ, მთლიანობაში, ეს იყო სრულიად განსხვავებული ტიპის მუსიკა, რომელიც ადრე არასდროს მომესმინა. შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ ამ მუსიკამ მომხიბლა და დამატყვევა.

თანდათან დავინტერესდი ქართული მრავალხმიანობით: 1996 წელს, სიბელიუსის აკადემიის ბიბლიოთეკაში მსოფლიო მუსიკისა და ცეკვის ვიდეო ანთოლოგიას ვცნობოდი. როდესაც საბჭოთა კავშირის სემინტში საქართველოს ჯერი დადგა, გურული სიმღერა აჟღერდა. მე ვიყავი ძველი დასავლური პოლიფონიის მოყვარული და ქართული პოლიფონია ერთდროულად არქაული და თანამედროვე-ავანგარდისტული მომეჩვენა. დიდხანს ვცდილობდი, მომეპოვებინა ასეთი სიმღერების ჩანაწერები, მაგრამ ეს იოლი არ იყო.

იმ პერიოდში დავიწყე ჩემი ბერძნული იდენტობის კვლევა ფინური და ბერძნული ხალხური მუსიკის საშუალებით.

1997 წლის სექტემბერში მონაწილეობა მივიღე ბერძნული დიასპორის მუსიკოსების ფესტივალზე ათენში. აქ მოვისმინე ქართული საეკლესიო საგალობლები თბილისის კონსერვატორიის ქალთა ანსამბლის შესრულებით. იმ დროს ქართული ხალხური სიმღერები აღვიქვი, როგორც შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის პოლიფონიური შედევრების მსგავსი (მაშინ არაფერი ვიცოდი ქართული მრავალხმიანობის მრავალფეროვნების შესახებ). იმ მოგზაურობის დროს შევიტყვე პონტოელი ბერძნებისა და ქართველების, უფრო ზუსტად, უძველესი კოლხების, ურთიერთობების შესახებ. გავაგრძელე ჩემი საქმიანობა ბერძნულ ხალხურ მუსიკაში, ასევე, დავინტერესდი პონტოელი ბერძნების მუსიკითა და ისტორიით, რამაც მიმიყვანა მცირე აზიის: თურქულ, სპარსულ და ქურთულ მუსიკასთან.

ხიდი პონტოდან კოლხეთამდე

ჩემი ინტერესი ქართული ხალხურის სიმღერის კვლევისადმი თანდათან ძლიერდებოდა. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა.

ესთეტიკური და ემოციური ხიზლის გარდა, დამებადა ეჭვი, რომ ქართული სიმღერების გარკვეული ფენა, შესაძლოა, შეიცავდეს ინფორმაციას უძველეს პონტოსა და საბერძნეთს შორის კავშირების შესახებ. გარდა ამისა, ამბები, რომლებიც გაგონილი მქონდა საქართველოსთან დაკავშირებული ბებია-ბაბუებისგან და მეზობლებისგან, რუსულენოვანი წიგნების ზოგიერთი თავი, რომელიც საქართველოს ეხებოდა, კიდევ უფრო მიძლიერებდა ინტერესს ამ ქვეყნის კულტურისადმი.

ქართული ხალხური სიმღერებით ჩემს სიღმისეულად დაინტერესებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ათენში 2009 წელს მოსმენილმა კახური სიმღერამ „წინწყარო“. ეს არ იყო რთული პოლიფონია,

მაგრამ იყო რაღაც განსაკუთრებული და ემოციური დახვეწილ მელოდიასა და მანერაში, რომლითაც სიმღერა სრულდებოდა. თუ ცამეტი წლის წინ, ქართულმა სიმღერამ მრავალხმიანობის სირთულით მომხიბლა, ამჯერად დამატყვევა დახვეწილმა, მელიზმებით მდიდარმა მელოდიამ...

ერთხმიანი (ანატოლიური, ბიზანტიური, ირანული) მუსიკისგან განსხვავებით, ამ სიმღერას ჰყავდა ორი სოლისტი, დაბალი ხმების ფონზე, რომლებსაც, როგორც მოგვიანებით გავიგე, ბანები ერქვა. მას ვერ შევადარებდი ბიზანტიურ ფსალმუნებს ან გალობას, რადგან საეკლესიო მუსიკისაგან განსხვავებული იყო და სრულიად სხვა შეგრძნებას იწვევდა, იმის მიუხედავად, რომ ბიზანტიური საეკლესიო გალობაც გაბმული ბანის ფონზე სრულდება.

დავიწყე ქართული სიმღერების მოსმენა YouTube-ზე და კომპაქტური დისკებიდან, რომლებსაც ბიბლიოთეკაში და მუსიკალური სიძველეების მაღაზიაში მივაკვლიე. ზოგი სიმღერა ჩემით შევისწავლე და ვოცნებობდი მათ შესრულებაზე ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლთან. ვგრძნობდი, რომ ეს მძიმე გზა იქნებოდა. მაშინ ფინეთში ჯერ არ იყო ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი. რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა გავაცანი შუასაუკუნეების სიმღერის შემსრულებელთა ჯგუფს, რომლის წევრიც ვიყავი და დავიწყეთ მათი შესრულება შუასაუკუნეების ერთხმიან და მრავალხმიან სიმღერებთან ერთად.

2011 წლის ივნისში გავემგზავრე აღმოსავლეთ ფინეთის ქალაქ იოენსუუში მართლმადიდებლური მუსიკის საერთაშორისო საზოგადოების სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად, რადგან ვიცოდი, რომ იქ ტარდებოდა ქართული გალობის მასტერკლასი (დიასამიძე – გრეკემი, შულღიაშვილი – გრეკემი).

სიმპოზიუმში მონაწილეობდა მგალობელი ბერი დამასკინოს ოლკინუორა (იმ დროს იაკო ოლკინუორა). შევამჩნიე რა მისი დიდი ინტერესი ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის მიმართ, ვკითხე, რა აზრის იყო ქართული ჯგუფის დაარსებაზე. ბერი ამ საკითხით დაინტერესდა, მალევე-ერთად დავიწყეთ მეცადინეობა და მომდევნო წელს, მომღერლების საკმარისი რაოდენობის შეგროვებისთანავე, ჩავატარეთ საჯარო კონცერტი „იბერიის“ სახელით.

საქართველოში პირველად 2011 წელს ვიყავი, მოვინახულე მცხეთა და თბილისი, შევიძინე ქრომატიული ფანდური.

იმავე წელს საბერძნეთში ვიმოგზაურე. ათენში ვიპოვე „კავკასიის საზოგადოება“, სადაც ქრომატიულ ფანდურზე დაკვრის რამდენიმე გაკვეთილი ჩამიტარა 17 წლის გიორგი როხვაძემ. იმ დროს არაფერი ვიცოდი „ხალხური ფანდურის“ არსებობის შესახებ. 2012 წელს თბილისში ჩამოვედი და სწავლა დავიწყე „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამით“ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში.



ჩემი პედაგოგები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში

სწავლის დაწყებიდან მალევე მივხვდი, რა ცოტა მცოდნია. ასევე, მივხვდი, რომ სიმღერის უფრო ღრმად გასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია, იცნობდე ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს.

თბილისში ჩემი პედაგოგები იყვნენ: რუსუდან წურწუმია, ქეთევან ბაიაშვილი, ნინო რაზმაძე, თორნიკე სხიერელი, დავით აბრამიშვილი, ქართულ ენას მასწავლიდნენ მანანა ტაბიძე და მისი ქალიშვილი თამარი. 2011 წლიდან საქართველოში უკვე ცხრაჯერ ვიყავი, მოვინახულე სხვა ქალაქებიც.

2016 წლის ზაფხულში პირველად მივიღე მონაწილეობა მათი კაჭკაჭიშვილის მიერ ორგანიზებულ ქართული ხალხური სიმღერის ტურში ქალაქ ქობულეთში, სადაც ჩვენი პედაგოგები იყვნენ არჩილ მედოლიშვილი და ტრისტან სიხარულიძე. ამ ტურის მონაწილეები იყვნენ დასავლეთ ევროპიდან და კანადიდან. გამაოცა ტურის მონაწილეთა გამოცდილებამ, ცოდნამ და რეპერტუარმა. ამ ტურმა კიდევ ერთხელ მასწავლა თავმდაბლობა და მოთმინება.

ინტერესი ქართული მუსიკის მიმართ ფინეთში

ამ ბოლო დროს სატელევიზიო პროგრამების, წიგნებისა და ახალი ქართული რესტორნების წყალობით, გაძლიერდა ინტერესი საქართველოს მიმართ. ვფიქრობ, უფრო და უფრო მეტ ფინელს გაუჩნდება ქართული ხალხური სიმღერების სწავლის სურვილი. მართლმადიდებლურ ტაძრებში უკვე რამდენიმე წელია სრულდება ზოგიერთი საგალობელი, მაგრამ ხალხური სიმღერა სულ სხვაა, ვინაიდან ის აერთიანებს ადამიანების უფრო დიდ სპექტრს, ხოლო, მართლმადიდებლური საგალობელი ძალიან პატარა წრეს მოიცავს (ფინეთის მოსახლეობის მხოლოდ 1% არის მართლმადიდებელი). ბერი დამასკინოსი იოენ-

სუფი ასწავლის და დირიჟორობს გუნდს სახელწოდებით „სალტიკონ“, რომლის რეპერტუარში არის საგალობლები, მათ შორის, ქართულიც.

2017 წლის იანვარში ჰელსინკში ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასი ჩაატარა ფოტოგრაფმა სოილი მუსტაფამ, რომელიც მანამდე მონაწილეობდა ქართველი მკვლევრის, ნანა მჟავანაძის მიერ აქ ჩატარებულ მასტერკლასში. ხალხს აშკარად ეტყობოდა ენთუზიაზმი და აერთიანებდა მომავალში კვლავ შეხვედრის იდეა.

თუ დღეს ვინმე მკითხავს, რატომ მომწონს ქართული ხალხური სიმღერები ან რატომ ვსწავლობ მათ, არ ვიცი რას ვუპასუხებ. ეს რთული საკითხია, ისევე, როგორც გურული მრავალხმიანობა...

მერი-სოფია ლაკოპულოსი
თავისუფალი ფინელი მუსიკოსი

სვანური ხალხური სიმღერები (სანოტო კრებული ორი სასწავლო აუდიოდისკით)



საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გალობა“ დაიწყო სასწავლო გამოცემების სერია სახელწოდებით „შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა“. გამოცემის პირველი ტომი სვანური ხალხური სიმღერების შესწავლას სთავაზობს ქართველ და უცხოელ პროფესიონალ თუ მოყვარულ მუსიკოსებს. ის წარმოადგენს სანოტო კრებულს სასწავლო მიზნით შესრულებული აუდიოჩანაწერების ორი კომპაქტდისკით. აუდიოჩანაწერები შესრულებულია გასული საუკუნის 80-იანი წლებში, საკავშირო ხმის ჩამწერ სტუდია „მელოდიაში“. სიმღერებს ასრულებს მესტიის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რიჰო“ ისლამ ფილფანის ხელმძღვანელობით.

კრებულში ცამეტი სვანური სიმღერაა შესული: *რიჰო, დალა კოჯას ხელღვაჟაღე, ლიღე, ლაჟღვაშ, კვირია, ვიცბილ-მაცბილ, ელია ლრდე (I CD); ქალთიდ, მირანგულა, შგარი და ლაშგარი, მგ ზავრული, ბალსქვემოური და ლატალური ზარი (II CD)*. აქედან ოთხი (*დალა კოჯას ხელღვაჟაღე, ლაჟღვაშ,*

ვიცბილ-მაცბილ და მირანგულა) სვანური ტრადიციული საკრავების – ჭუნირისა და ჩანგის თანხლებით სრულდება. ჭუნირზე ისლამ ფილფანი უკრავს, ჩანგზე კი – გივი ფირცხელანი.

გამოცემის სასწავლო დანიშნულებას განსაზღვრავს ოთხ ბილიკად ჩაწერილი სიმღერები: პირველ ბილიკზე ყველა ხმა თანაბრად ისმის, დანარჩენ სამზე კი ცალკეული ხმებია დაწინაურებული. სვანური ენის სირთულის გათვალისწინებით, სანოტო კრებულს დართული აქვს სიმღერების ტექსტები სრულად. ანოტაციებთან (სიმღერის ჟანრი, შინაარსი, შესრულების ფორმა, სოციალური ფუნქცია), შენიშვნებთან და განმარტებებთან ერთად, ეს კიდევ უფრო გაუადვილებს საქმეს სვანური სიმღერების შესწავლით და ინტერესებულ ადამიანებს, რომლებიც, საბედნიეროდ, საკმაოდ მომრავლდნენ.

გამოცემა ხელს შეუწყობს სვანური სიმღერების სწორად შესწავლას – მათი კილოური წყობის, ინტონირების თავისებურებების, ხმების ურთიერთმიმართების, იმპროვიზაციის ხარისხის, სასიმღერო მანერის, ვერბალური ტექსტისა და სამღერისების სწორად აღქმის თვალსაზრისით; აგრეთვე, დაეხმარება სვანური სიმღერების მუსიკალურ-ვერბალური ტექსტების სიღრმისეულ კვლევას.

ცხადია, ცამეტი სიმღერა ანსამბლ „რიჰოს“ რეპერტუარისა და, ზოგადად, უმდიდრესი სვანური სასიმღერო მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილია. თუმცა, იმედი, ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება, მით უფრო, რომ ამგვარი გამოცემებისადმი ინტერესი დღითიდღე მატულობს.

მაკა ხარძიანი
წიგნის შემდგენელი

ალბანური მრავალხმიანობა

ალბანური ხალხური მუსიკალური კულტურა ტრადიციული მრავალხმიანობის ერთ-ერთი მდიდარი ოაზისია მსოფლიოში. ამასთან, აქ, საქართველოს მსგავსად, პოლიფონიის ფორმათა დიდი მრავალფეროვნებაა. ალბანური ბურდონული „ისო“ მრავალხმიანობა 2005 წელს UNESCO-ს მიერ გამოცხადებულ იქნა „კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის შედეგად“.



ფოლკლორული ჯგუფი სამხრეთ ალბანეთიდან

ალბანური სიმღერები ძირითადად მამაკაცთა მიერ სრულდება – მრავალგვარი რიტუალის დროს, როგორცაა: ქორწილი, შრომის პროცესი, რელიგიური და სხვაგვარი დღესასწაული. თუმცა, ცალკე აღსანიშნავია ალბანური ქალთა ტირილები – ბურდონის ფონზე ურთიერთმონაცვლე ორი სოლისტით. სიმღერების დიდი ნაწილი სრულდება წრიული ფერხულის სახით. ყველაზე ხშირად ალბანური მრავალხმიანობა ისმის ცნობილ ფოლკლორულ ფე-

სტივალ გიროკასტრაში – მოყოლებული 1968 წლიდან. დაახლოებით ამავე პერიოდშიდან ხდება ალბანური მრავალხმიანობა პოპულარული მთელ მსოფლიოში. 1995 წლიდან ფესტივალები იმართება ბერატეშიც. მრავალხმიანი სასიმღერო ტრადიციის გაგრძელებას ხელს უშლის მძიმე სოციალური პრობლემები, განსაკუთრებით – სოფლების დაცლა და ადგილობრივთა ემიგრაცია უცხოეთში სამუშაოს ძიების მიზნით.

ალბანეთი პირობითად იყოფა ორ ნაწილად – ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებად. მრავალხმიანობა ორივე ნაწილშია გავრცელებული, თუმცა არათანაბრად. ტირანასა და შკოდერის რაიონები ამ თვალსაზრისით განცალკევებით დგას – პოლიფონია აქ იშვიათია. ჩრდილოეთში გეგებთან მრავალხმიანობა ნაკლებად გვხვდება, ვიდრე – სამხრეთში. აქ იგი გავრცელებულია ძირითადად მთიან მხარეში. ესაა ბალკანეთისთვის დამახასიათებელი ბურდონული მრავალხმიანობა სეკუნდური ინტერვალებით. საერთოდ, ამ ტერიტორიაზე ძველებური სასიმღერო სტილი უფრო კარგად არის შემორჩენილი. გეგებთან სასიმღერო თემატიკა ძირითადად ეპიკას უკავშირდება. ხშირია სიმღერები ღირსებაზე, სტუმართმოყვარეობაზე, ღალატსა და შურისძიებაზე და ა.შ.

ქვეყნის სამხრეთში ლაბებთან და ტოსკებთან გამოყოფენ რამდენიმე დიალექტს: ჩამებს, ლაბებს, მიზიქეს. მათში ყველგან გავრცელებულია ბურდონული ტიპის ორი- და სამხმიანობა. გარდა ამისა, გვხვდება ოთხხმიანობის მაგალითებიც (ვლორის რაიონში). ოთხხმიან სიმღერებში ვხვდებით სპეციფიკური ტემბრისა და საშესრულებლო ყაიდის ხმებს – კვნესას, ვიბრატოს, ფალცეტს. ლაბერიაში ორხმიან სიმღერებს ძირითადად ქალები ასრულებენ, სამხმიანებს – როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, ხოლო ოთხხმიანებს – უმეტესად მამაკაცები.

ლაბები ყველაზე მიუვალ მთებში ცხოვრობენ და ყოფის ყველაზე არქაული ფორმებით გამოირჩევიან. აქ ბურდონი უმეტესად რეჩეტატიულია და სხვა ხმებთან ერთად წარმოთქვამს სიტყვიერ ტექსტს. ზედა ხმები ნაკლებად მელიზმატურია. შუა ხმა დიაპაზონში იშვიათად ამეტებს კვინტის ჩარჩოს. მრავალხმიანობის ამ ფორმაში ხშირია სამხმიანი დისონირებული აკორდები – სეკუნდის, კვარტის, კვინტის შემცველი ხმოვანებებით. აქ, ძირითადად, სამხმიანობის ტრადიციას, ოთხხმიანობა შედარებით იშვიათია.

ზოგადად, მიზექესა და ტოსკერის მრავალხმიანობა უფრო ახლოა ერთმანეთთან ვიდრე – ლაბერიისა მათთან. ამ უკანასკნელში ქალი სოლისტი ზოგჯერ ოთხხმიან სიმღერაშიც მღერის, ხოლო ტოსკებში ქალები და კაცები, ძირითადად, განცალკევებულ ჯგუფებად მღერიან. მიზექესა და ტოსკერის ორხმიანი a cappella სიმღერები ძირითადად ქალთა რეპერტუარისაა. მამაკაცებთან უფრო ხშირია სამხმიანობა, ამასთან – ხმის უფრო ფართო დიაპაზონით და მეტი მელიზმატიკით.

ტოსკერისა და მიზექეს რაიონში მრავალხმიანი სიმღერები ხშირად ინსტრუმენტული ანსამბლების თახლებითაც სრულდება: კლარნეტის, ვიოლინოს, ლაჰუტეს („ლიუტნა“) და დაირას (ან „დეფის“ – დოლის) შემადგელობით.

ჩამებთან მრავალხმიანი პლასტი ეყრდნობა გაბმულ ბურდონს. გუნდური ბანის ფონზე ორი სოლისტი იმპროვიზირებს, განავითარებს მელიზმატიკურად მდიდარ მელოდიურ ხაზს. მელოდია ძირითადად დაღმავალია, ტალღოვნად ეშვება სისტემის საყრდენზე (ბურდონზე). ზოგადად, ალბანური ბურდონი უძრავია, არ ახასიათებს მოდულაცია ან კადანსები. სიმღერის დასრულებისას ბურდონი გლისანდოთი ჩამოცურდება ქვემოთ. ხმებში წამყვანი ზედაა. მეორე ხმა ზოგჯერ მხო-

ლოდ „ჩრდილია“, ხოლო ზოგჯერ – ცდილობს წამყვანი ხმის ინიციატივა გაინაწილოს. გვხვდება, როგორც ერთობლივი, ასევე, მონაცვლეობითი ჟღერადობა. სოლისტთა ხმები, იშვიათად, რეგისტრში როლებსაც ცვლიან. ასევე, იშვიათად გვხვდება ზედა ორი ხმის პარალელური მოძრაობაც. საინტერესოა, რომ ალბანურ მუსიკაში ბანს, ქვედა ბურდონულ ხმას, ხშირად ეძახიან „ე მბანს“ („საყრდენი“).



ალბანური ხალხური სიმღერისა და ცეკვის ქალთა ანსამბლი „კოლორიტი“

ბურდონი ალბანეთში ცნობილია სახელწოდებით „ისო“. ეს სახელწოდება ბიზანტიაშიც გამოიყენებოდა, როგორც „იზოკრატემა“, „ისონი“ – უნისონურად შესრულებული გაბმული ბანი. თავად სიტყვა „უნისონი“ ხომ უნიფიცირებულ ისონს აღნიშნავს. ტოსკერში „ისო“ („იზო“) ძირითადად გაბმული ბურდონით, „ე“ ბგერაზე გაიმღერება – ხშირად ჯაჭური სუნთქვით, ხოლო ლაბებთან – რიტმული ფიგურაციის ბურდონით.

შესაძლებელია, ალბანურ მელოდიაზე გარკვეული გავლენა ჰქონოდა მუემინთა მუსლიმურ ინტონირებას (დღეს ალბანური მორწმუნე მოსახლეობის 70% მუსლიმია, 20% – მართლმადიდებელი, ხოლო 10% – კათოლიკე).

ალბანური „ისოპოლიფონია“ ეყრდნობა ორ ურთიერთმოპასუხე სოლისტს, თავიანთი კონტრხმებითა და ბურდონული აკომპანემენტით. გასხვავებით ისონზე დამყარებული მრავალხმიანობისგან, თანამედროვე, ევროპული სტილის ზეგავლენით შექმნილი „აკორდული“ მრავალხმიანობის ფორმები პარალელურ ტერციებსა და სექსტებს ემყარება. ეს სასიმღერო სტილი განსაკუთრებით პოპულარულია სამხრეთ ალბანეთის ქალაქებში.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ გაბმულ ბანზე ხმოვანი ერთი ან ორი ზედა ხმა თითქმის მთელი ბალკანური მოსახლეობისთვის დამახასიათებელი სტილია. თუმცა, ალბანურის-მსგავსი სტილის მრავალხმიანურ პლასტებს, განსაკუთრებით, ვხვდებით ალბანეთის საზღვართან: საბერძნეთის ეპირის მთებში, მაკედონიაში – გოსტივარში და ჩერნიგორიის მალესია-ემადიში.

თამაზ გაბისონია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ურუშაძეები

საოჯახო მუსიკირების ტრადიცია საქართველოში ოდითგანვე არსებობდა. შეიძლება ითქვას, რომ, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ ტრადიციის წყალობით შემოგვრჩა მრავალი ფოლკლორული ნიმუში. საქართველოში მრავლად იყო არამართო მომღერალი ოჯახები, არამედ გვარებიც: ერქომაიშვილები, ბერძენიშვილები, ჩავლეიშვილები, ხუხუნაიშვილები... მათ შორის ერთ-ერთი, უსათუოდ, ურუშაძეთა გვარია, რომელიც დღემდე აგრძელებს ტრადიციული მუსიკის ოჯახური შესრულების ტრადიციას. ესაა ცნობილი გურული მომღერლის, კარლო ურუშაძის შთამომავლობა – შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ წინაპრების გაკვალულ გზას...

გთავაზობთ ინტერვიუს ამ საოჯახო ანსამბლის წევრებთან – სერგო და ლელა ურუშაძეებთან.

მ.ხ. – პირველ რიგში, საინტერესოა თქვენი აზრი საოჯახო მუსიკირების ტრადიციის შესახებ.


ლ.უ. – ჩემი აზრით, ეს ტრადიცია ძალიან მნიშვნელოვანია. ოჯახი კიდევ უფრო იკვრება და სიხარულით ივსება სიმღერის დროს, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი თავიდანვე ეზიაროს მშობლიურ მუსიკალურ ფოლკლორს, შეიყვაროს და შეისისხლხორცოს იგი.

ს.უ. – ეს ტრადიცია საქართველოში შთამომავლობით გადადიოდა. ადრე საოჯახო ანსამბლს გვართ მოიხსენიებდნენ. გავიხსენოთ ხუხუნაიშვილების, ბერძენიშვილების, ერქომაიშვილების საოჯახო ტრადიციები... მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. ჩემი აზრით, ამ ტრადიციამ ძალიან

დიდი როლი ითამაშა ხალხური სიმღერა-გალობის შემონახვაში.

მ.ხ. – საოჯახო ანსამბლის შექმნის იდეა როდის და როგორ გაჩნდა?

ლ.უ. – ჩვენი საოჯახო ანსამბლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ბაბუას – კარლო ურუშაძეს. მანაც ოჯახში ისწავლა სიმღერა და თავის მშობლებთან და ძმასთან ერთად მღეროდა. შემდეგ ეს ტრადიცია გააგრძელა და ჩვენც ყველას გვასწავლა სიმღერა.



კარლო ურუშაძე შვილიშვილებთან – ლელასთან და სერგოსთან ერთად

ს.უ. – რაც თავი მახსოვს, ბაბუა სულ გვასწავლიდა სიმღერებს. თუ ვინმე საპატივცემულო სტუმარი მოვიდოდა, ურუშაძეებთან აგზავნიდნენ გადასაღებად. ერთხელ ბატონ ანზორ ერქომაიშვილს უთქვამს ბაბუასთვის, იქნებ საოჯახო ალბომი ჩაგეწერათო... სწორედ აქედან დაიწყო ურუშაძეების ოჯახური ანსამბლის ისტორია.

მ.ხ. – თავიდან როგორი შემადგენლობა გქონდათ და ეტაპობრივად ვინ შეგემატათ?

ს.უ. – თავიდან სრული ოჯახი ვმღეროდით: ბაბუა – კარლო ურუშაძე, ბებია – ნუნუ თაყაიშვილი, მამა – ზაალ ურუშაძე,

დედა – მზია ცეკვიტინიძე, მე და ჩემი დები – ლელა და ბელა ურუშაძეები. როცა მამიდები – ლია და თამარ ურუშაძეები ჩამოდოდნენ, ისინიც უერთდებოდნენ ჩვენს ანსამბლს. ბაბუას გარდაცვალების შემდეგ ტრადიცია შვილიშვილებმა გავაგრძელეთ და ახლა ჩვენს შვილებს ვასწავლით სიმღერას.

მ.ხ. – როგორც ვიცი, კარლო ურუშაძე თავადაც ცნობილ მომღერალთა საგვარეულოს შთამომავალია. რას გვეტყვით მისი მომღერალი წინაპრების შესახებ?

ლ.უ. – კარლო ურუშაძის ბაბუა, გიორგი იობიშვილი ცნობილი მაგალობელ-მომღერალი იყო, გიგო ერქომიაშვილის გუნდში მღეროდა; მამა – სერგო ურუშაძე გურიაში ცნობილი მაგალობელ-მომღერლის, სოფ. ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრის, ილუმენ ნესტორ კონტრის მოსწავლე იყო; ხოლო ბაბუაჩემი დედასთან და ბიძასთან – ოლია და ტელე იობიშვილებთან ერთად ვარლამ სიმონიშვილის გუნდში მღეროდა.

მ.ხ. – საინტერესოა, რა ასაკიდან გასწავლიდნენ სიმღერას?

ლ.უ. – სიმღერას 2-3 წლის ასაკიდან ვსწავლობდით, ბაბუა შვილიშვილებს საკმაოდ დიდ დროს გვითმობდა და გვამღერებდა, განსაკუთრებული ურთიერთობა მაინც სერგოსთან ჰქონდა. ის რომ დაიბადა, ბაბუა უკვე აღარ მუშაობდა და მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა, მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ, 3-4 წლის იყო სერგო, უკვე „ჩვენ მშვიდობას“ და „სუფრის ხელხვავს“ რომ მღეროდა!

მ.ხ. – სერგო, იქნებ გაიხსენო ბაბუასთან ურთიერთობის ეპიზოდები, მისი რჩევები სიმღერის სწავლებისას, მისი დამოკიდებულება ამ პროცესისადმი.

ს.უ. – ბაბუასთვის სიმღერა მთელი ცხოვრება იყო, ის ხშირად გვიყვებოდა წინაპრებზე, მის პედაგოგ ვარლამ სიმონიშვილსა და მომღერლებზე; გვასწავლიდა სიმღე-

რების სხვადასხვა ვარიანტებს. ხშირად გვეუბნებოდა – სიმღერა ძალით არ ისწავლება, გულიდან უნდა მოდიოდესო. ბუნდოვნად მახსოვს ფრაგმენტები, როდესაც ეზოში ვთამაშობდი და ვარლამ სიმონიშვილის ფირფიტას ვუსმენდი. აქედან დაიწყო, ალბათ, ჩემი სიყვარული ხალხური სიმღერისადმი. ბაბუა მასწავლიდა მარტივ საჩონგურო სიმღერებს, თუმცა, პირველი, რაც მახსენდება, იყო „ხასანბეგურას“ დაწყება, რომლის ჩანაწერიც მოგვეპოვება ოჯახში. მაშინ 2 წლის ვიყავი! შემდეგ, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი ან სახლის სამუშაოებში რომ ვეხმარებოდი, შესვენებებში „ჩვენ მშვიდობას“, „მადლობელს“ და მსგავს რთულ სიმღერებს მასწავლიდა. ეს იყო ჩვენი დასვენება. ბაბუა მეუბნებოდა, რომ სიმღერა იმისთვისაა, მოისმინო და გესიამოვნოსო. არ უყვარდა, რომ ამაცობდნენ, სიმღერაში ვიღაცა „ხმიდან გადავადგეო“ და სულ მეუბნებოდა, „მასე არ ქნაო. სწავლისას კი ბატონო, მაგრამ როცა მღერისხართ, მაი არ ვარგაო“. ყოველთვის ცდილობდა, ჯერ მარტივი ვარიანტები ესწავლებინა, რომ ხელი არ ჩაგვექნია სიმღერაზე. სიმღერა ბაბუასთვის ოჯახზე მაღლა იდგა. სიმღერა მისთვის პირველი იყო, ყველაფერი დანარჩენი – მეორე. მას ხშირად მიუცია მკაცრი შენიშვნები თანამდებობის პირებისთვისაც კი, რომლებიც სიმღერის დროს ლაპარაკობდნენ და არ უსმენდნენ.

მ.ხ. – რომელი სიმღერები ისწავლეთ ბაბუასგან?

ლ.უ. – ბაბუასგან ძალიან ბევრი გურული სიმღერა ვისწავლეთ: „დილა“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „ადილა-ალიფაშა“, „ჩვენ მშვიდობა“, „შავი შაშვი“, „სუფრის ხელხვავი“, „ნატვრა“, „მადლობელი“, „ბრევალო“ და მრავალი სხვა.

ს.უ. – 90% სიმღერებისა, რაც ვიცი, ბაბუასგან მაქვს ნასწავლი. ვარიანტები კი ბლო-

მად ვისწავლე ჩემით, თუმცა, ძირითადი სიმღერები ბაბუასგან ვიცი.



ურუშაძეების ოჯახი

მ.ხ. – თქვენ როგორ ასწავლით თქვენს შვილებს?

ლ.უ. – პატარებს შედარებით მარტივ სიმღერებს ვასწავლით ჩონგურის თანხლებით, როგორც ბაბუა გვასწავლიდა. ვცდილობთ, დავინტერესოთ, არ ვაძალებთ, როცა ჩვენ ვიწყებთ სიმღერას, თვითონ უჩნდებათ ინტერესი... გვინდა რომ იცოდნენ, რაც ჩვენ ვიცით, ტრადიცია მათაც გააგრძელონ. როგორც ვიცით, დედის როლი დიდია ბავშვის აღზრდაში. ვფიქრობ, ბავშვს პირველი რომ დედის ნანა ესმის, აქედან ხდება სიმღერის შეყვარებაც და სმენის გამომუშავებაც. ამიტომ, ჩვენი შვილები „ნანებით“ გავზარდეთ.

მ.ხ. – თუ შეიძლება, გაგვაცანით თქვენი საოჯახო ანსამბლის „ნორჩი თაობა“. ყველა მღერის?

ლ.უ. – მუსიკალური სმენა უკლებლივ ყველას აქვს, თუმცა, გამორჩეულად - სერგოს შვილებს. საოჯახო ანსამბლის „ნორჩი თაობა“ ასეთი შემადგენლობისაა: სერგოს სამი ქალიშვილი: მარიამი (6 წლის), კესო (4 წლის) და თამარი (2 წლის); ბელას ორი ვაჟი: კონსტანტინე (12 წლის) და თენგი (11 წლის) გაბიძაშვილები და ჩემი სამი შვილი: გიორგი (9 წლის), ნიკოლოზ (5 წლის) და ანა (4 წლის) კალაძეები.

მ.ხ. – დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ურუშაძეების საოჯახო ანსამბლს ნამდვილად საიმედო მომავალი აქვს!

ლ.უ. – ჩვენ ამის დიდი იმედი გვაქვს!

მ.ხ. – ვიცი, რომ თქვენს რეპერტუარში ძირითადად გურული სიმღერებია. რა არის თქვენი შემოქმედების წყარო?

ს.უ. – დიახ, ასეა, რადგან, ძირითადად, გურულები გვასწავლა ბაბუამ. თუმცა, შესაძლოა, მომავალში გავაფართოვოთ ჩვენი რეპერტუარი.

ჩვენი შემოქმედების წყარო კვლავ ბაბუას მიერ ნასწავლი სიმღერები და, რა თქმა უნდა, უნიკალური საარქივო ჩანაწერებია. მე, პირადად, ხშირად ვუსმენ ძველ ჩანაწერებს, ასევე, ვიხსენებ ბაბუასგან ნასწავლ ვარიანტებს და ხშირად ნაზავს ვმღერი ხოლმე.

მ.ხ. – გვიამბეთ თქვენი საოჯახო ანსამბლის შემოქმედებითი მიღწევების შესახებ.

ს.უ. – ჯერ-ჯერობით გამოცემული გვაქვს ერთი საოჯახო ალბომი. ბაბუასთან ერთად ხშირად ვმონაწილეობდით კონცერტებსა თუ ფესტივალებში. მისი გარდაცვალების შემდეგაც ვაგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას და ჩვენს შვილებთან ერთად ვერთვებით სხვადასხვა ღონისძიებებში. ასე მაგალითად, 2015-2016 წლის საქართველოს ფოლკლორის დათვალიერება-ფესტივალის „საოჯახო ანსამბლების“ ნომინაციაში მეორე ადგილი დავიმსახურეთ. ამ ფესტივალმა სიმღერისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაუღვივა ჩვენს შვილებს, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს.

მ.ხ. – სამომავლოდ რას გეგმავთ?

ლ.უ. – ჩვენთვის მთავარია ოჯახური მუსიკირების ტრადიცია არ დავკარგოთ, შვილებს ვასწავლოთ სიმღერა და მათთან ერთად გავაგრძელოთ შემოქმედებითი ცხოვრება. სწორედ ეს იყო ბაბუას დიდი ოცნება.

მ.ხ. – ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელით წარმატებებს ვუსურვებ ურუშაძეების საოჯახო ანსამბლს და იმედს გამოვთქვამ, რომ ის კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს და გააგრძელებს საოჯახო მუსიკირების ფესვმაგარ ტრადიციას!

ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა

ძველი პრესის ფურცლებზე

„ქართული მრავალხმიანობა - ეს შედეგია“



იხალი ზემცოვსკი

რუბრიკაში „ძველი პრესის ფურცლებზე“ გთავაზობთ 2004 წლის სიმპოზიუმის შემდეგ ბატონ იხალი ზემცოვსკისთან ჩაწერილ ინტერვიუს, რომელიც მაშინდელი გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ 2005 წლის 22 მარტის ნომერში დაიბეჭდა.

იხალი ზემცოვსკი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დაიბადა და ცხოვრობდა სანკტ-პეტერბურგში, მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა სამეცნიერ-

რო კვლევით საქმიანობას რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. მისი სიტყვებით, საბჭოთა პერიოდში სწავლობდა ხელოვნებას ფართო ასპექტში, მათ შორის, ეთნიკურ მუსიკას, აღმოსავლეთ-ევროპულ და რუსულ-ევროპულ მუსიკას და... შამანიზმსაც კი! ის იყო ორგანიზატორი ხელოვნების საკავშირო სემინარებისა, რომელზეც ლენინგრადში ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპეციალისტები. სწორედ იქ გაიცნო ქართველები და მათი ხელოვნება, რომლის ფესვები საუკუნეების სიღრმეში იკარგება. „მათ გამოცეს თავისი ემოციურობით“ – იგონებს ზემცოვსკი. ამ შთაბეჭდილებით გაემგზავრა იგი კალიფორნიაში 1990-იან წლებში და ძალიან გაუკვირდა, როცა იქ ზუსტად ასეთივე ქართველები ნახა: „მათზე ცხოვრების ადგილის შეცვლას არავითარი გავლენა არ მოუხდენია“.

ტრადიციული მრავალხმიანობის მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმზე საქართველოში ჩამოსულმა ზემცოვსკიმ თქვა: „რადგან ქართულ პოლიფონიას ვიცნობ, შემიძლია ვთქვა, რომ მე ამ ქვეყანაში სტუმარი არ ვარ. ქართული მრავალხმიანობა ხალხური ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის შედეგია“.

ჯ.ი. – გავრცელებულია აზრი, რომ ქართული მრავალხმიანობა ბერდება. შესაძლებელია, რომ დროთა განმავლობაში ის გაქრეს?

ი.ზ. – ის, ვინც ამას ამბობს, ქართული ხალხური სიმღერის კონცერტზე უნდა მოხვდეს. დარწმუნებული ვარ, ისინი აუცილებლად შეიცვლიან აზრს. ხალხურ მუსიკაზე საოცარს იშვიათად თუ რამეს მოისმენ. მასში უძველესი ხალხის სული, მისი თვითმყოფადობაა ჩადებული. ქართველები ასწლეულების მანძილზე იცავდნენ მას უცხო გავლენისაგან. განა შეიძლება გაქრეს ხელოვნება, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო? უფრო მეტიც, საქართველოში ხალხური შემოქმედება ახალი ჟანრებით მდიდრდება და ინტენსიურად ვითარდება.

ქართულ სიმღერებს ხშირად ადარებენ ბულბულის გალობას, მაგრამ ეს არც თუ ისე სწორი შედარებაა. აი, ტოროლას კი შევადარებდი, რადგან იგი ცაში აჭრილი მღერის... ქართული ხალხური სიმღერაც, ასევე, კრეფს სიმაღლეს და ადვილად იპყრობს სივრცეს. მისთვის ძალიან ვიწროა ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრები, არღვევს მათ და ხელოვნების ბედნიერებას აზიარებს სხვა ხალხებს.

ქართულმა მრავალხმიანობამ გამოძახილი ჰპოვა მრავალი ხალხის ვოკალურ ხელოვნებაში. ქართულ პოლიფონიას ვისმენტა იაპონელების, ამერიკელების, გერმანელების, ინგლისელების შესრულებით...

ქართული ხალხური სიმღერის მსოფლიოში გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელის ბ-ნი ანზორ ერქომაიშვილის მოღვაწეობამ. თბილისის კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრი კი (ხელმძღვანელი პროფ. რუსუდან წურწუშია), ასევე, დიდ საქმეს აკეთებს, რადგან გამოსცემს წიგნებს, კომპაქტ-დისკებს, რაც ქართული სიმღერის უცხოელ თაყვანისმცემლებს შესაძლებლობას აძლევს ხელთ ჰქონდეთ უძვირფასესი მასალა მის შესახებ.

თქვენს კონსერვატორიაში მართლაც მიმდინარეობს ტრადიციული მუსიკის ღრმა მეცნიერული კვლევა, რომელიც წარმოუდგენელია ფოლკლორისა და სასულიერო მუსიკის გარეშე. გარკვეულ პერიოდში ამ უკანასკნელის პრობლემები არ შეისწავლებოდა, ახლა მიმდინარეობს სერიოზული გამოკვლევები, იქმნება სამეცნიერო ლიტერატურა. თუმცა, მინდა, ხაზი გავუსვა ერთ დეტალს – თქვენთან მუსიკოლოგია ცოტათი ჩამორჩება თვით მუსიკას, გჭირდებათ ისეთი მუსიკოლოგიური მეცნიერება, რომელიც მუსიკის დიდებულებას სიტყვებით ახსნის. ეს საკმაოდ რთულია.

ჯ.ი. – ქართული მუსიკა ხალხის ტრადიციებს ასახავს. თქვენ აღნიშნეთ მისი მრავალპლანიანობა...

ი.ზ. – ქართული ხალხური სიმღერის გენიალობა მის ღრმა შინაარსშია, რომელშიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემებია წამოჭრილი. სუფრული სიმღერებიც კი მოწოდებულია, „ზიდოს“ სამოქალაქო ტვირთი. გარდა ამისა, სუფრული სიმღერები საქართველოში სტუმრებს თამადის ირგვლივ აერთიანებს. მე მიმაჩნია, რომ დასავლურ ქვეყნებს ბევრი რამ შეუძლიათ ისწავლონ კავკასიელი ხალხებისგან, მათ შორის სუფრა ერთი მთავარია. შევადაროთ დასავლეთში მოდური ფურშეტები კავკასიურ სუფრას...

კავკასია და, კერძოდ, საქართველო სწორედ იმით გამოირჩევა, რომ თანამედროვე ხელოვნება-საუკუნეების სიღრმეში მიმავალი ფესვებით საზრდოობს, სწორედ ამაშია კავკასიის განუმეორებლობა.

ჯ.ი. – შედის თუ არა უცხოელების ინტერესი ქართული პოლიფონიისადმი ბერკლის უნივერსიტეტის „კავკასიურ პროგრამაში“?

ი.ზ. – უნივერსიტეტი გამოსცემს ბიულეტენს, რომელიც ბეჭდავს მასალას კავკასიაზე. მაგალითად, პირადად მე გამოვაქვეყნე სტატია: „საქართველო: მუსიკა ცენტრში“, რომელშიც დავეწერე თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმისა და ქართული ფოლკლორული მემკვიდრეობის მკვლევართა შესახებ. კავკასიისა და საქართველოსადმი ინტერესი სხვა ასპექტებსაც მოიცავს: მათ შორის პრიორიტეტულია ქართული ენა, რომელსაც ბერკლის უნივერსიტეტში ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის, მიხეილ ჩიქოვანის ვაჟი – ვახტანგი და მისი მეუღლე ასწავლიან... ჩემი მეუღლე აღმა კუნანბაევაც, რომელიც უძველესი ყაზახური გვარის, კერძოდ „ყაზახ პუშკინად“ წოდებული აბაი კუნანბაევის შთამომავალია, ბერკლის უნივერსიტეტში ასწავლის ყაზახურ ენას ფოლკლორის, მიოლოგიისა და პოეზიის მეშვეობით.

ამერიკაში ბევრია დაინტერესებული ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხების ენობით. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი ქვეყნების ხალხებს საკუთარ ენაზე უნდა ელაპარაკო. სწორედ ამ მიზნით სწავლობენ ისინი ქართულს.

ჯ.ი. – როგორც ვიცი, თქვენი ბოლო ვიზიტისას საქართველოში, მხოლოდ პოლიფონიით არ იყავით დაკავებული, ეძებდით ერთ მოქანდაკეს. იპოვეთ?

ი.ზ. – სამწუხაროდ, ვერა. საქმე ისაა, რომ ერთხელ პოლიტოლოგმა ედუარდ უოლკერმა, რომელიც ხელმძღვანელობდა პოსტ-საბჭოური ქვეყნების კვლევის ცენტრს, მაჩვენა მოცეკვავე წყვილის ორი ბრინჯაოს ქანდაკება. მოქანდაკეს თავისი ხელმოწერა დაეტოვებინა: რ. მდივანი. უოლკერმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ავტორი ქალი იყო და ცხოვრობდა მისი ბების სახლში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ხდებოდა გასული საუკუნის 20-იან წლებში, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს ქალბატონი ემიგრანტი იყო და ქანდაკებები აჩუქა მასპინძელს მადლიერების ნიშნად. ქანდაკებების მფლობელმა ავტორის ძიებაში შეისწავლა ყველა მდივანის გენეალოგიური ცხრილი. 17 კომპიუტერულ გვერდზე ჩამოთვლილია „ნაპოვნი“ თავადები და გრაფები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ძველ ევროპაში და რომლებიც დიდი ხნის წინ იქცნენ „ფრანგებად“, „რუსებად“... ერთ-ერთ მდივანს მივყავართ თავადი ტრუბეცკოის საგვარეულომდე, თუმცა ქალი მოქანდაკის ინიციალი „რ“ არსად ფიგურირებს. ჩემი ძიებანი თბილისში, ასევე, წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ძიებას ამ მიმართულებით კვლავ გავაგრძელებ მომდევნო ვიზიტებისას მომხიბლავ საქართველოში.

ინტერვიუ ჩაიწერა ჯილდა ივანიშვილმა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ 22.03.2005

მინაწერი: სამწუხაროდ, ქანდაკების ავტორს პროფ. ი. ზემცოვსკიმ ვერც საქართველოში მომდევნო ვიზიტებისას მიაგნო.

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ

„ლიფანალ“

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და, მათ შორის, სვანეთშიც ოდითგანვე სწამდათ მიცვალებულთა საიქიო ცხოვრების. ხალხის რწმენით, ოჯახის მიცვალებულებს შესწევდათ უნარი ცოცხალთა ბედობის გადაწყვეტისა, ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ამასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ტრადიციული რიტუალი, რომელიც დღემდე ცოცხლად შემოინახეს სვანებმა, არის მიცვალებულთა განსაკუთრებული დღეობა „ლიფანალ“. ესაა ახალი წლის ციკლის დღესასწაული, რომელიც ყოველთვის 18 იანვარს (ძვ. სტილით 6 იანვარს) იწყება და ნათლისღების შემდეგ პირველივე ორშაბათს სრულდება, შესაბამისად, ყოველ წელს სხვადასხვა ხანგრძლივობისაა. ბესარიონ ნიჟარაძე წერს: „ყოველ წელიწადს სულები საიქიოდამ (ზოგის სიტყვით საფლავებიდამ) სააქაოს მოვლენ, ჭირისუფალთ ესტუმრებიან... ორშაბათამდე ჭირისუფალი სადილვანშმად საკურთხს უკეთებს მიცვალებულთა და ამიტომაც ამ დროს ეძახიან „ლიფანალს“ („ლიფანალ“ სიტყვასიტყვით კურთხევას ნიშნავს – მ.ხ.).

„ლიფანალის“ რიტუალები არქაულ წარმოდგენას ემყარება, რომლის თანახმად, მიცვალებულებს შეეძლოთ ცოცხალთა ცხოვრებაზე სასიკეთო გავლენის მოხდენა და ღვთაებათა წინაშე შუამდგომლობა. იგი, ასევე, უკავშირდება შეხედულებებს ბუნების ძალთა აღორძინების შესახებ და ამიტომ მოექცა ახალი წლის დღესასწაულთა ციკ-

ლში, რომლის წარმმართველი იდგა სწორედ მზის მობრუნება და ნაყოფის მიმნიჭებელ ძალთა განახლება იყო. მსგავსი დღესასწაულები წლის სხვადასხვა დროს საქართველოს მრავალ კუთხეშია დამოწმებული (სულთაკრეფა, სუნთობა და სხვა). ანალოგიური წარმოდგენები გავრცელებული ყოფილა ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში, კერძოდ, ინდოელებში, ბერძნებში, რომაელებში.


„ლიფანალისთვის“ სვანი საგულდაგულოდ ემზადებოდა: სახლს ალაგებდა, ჭურჭელსა და ტანისამოსს რეცხავდა, საკურთხს ამზადებდა. რაც უნდა გაჭირვებული ოჯახი ყოფილიყო, „ლიფანალში“ არ უნდა შერცხვნილიყო. სვანს ერჩევნა მთელი წელიწადი შიშველ-ტიტველს, მშიერ-მწყურვალს ეარა, ვიდრე „ლიფანალში“ რამე დაეკლოს სულებისთვის.

კიდევ უფრო დიდი იყო პასუხისმგებლობა უპატრონო მიცვალებულების მიმართ. მათი სულებისთვის საკურთხს სოფელი ან მათი ქონების მესაკუთრე აკეთებდა.

„ლიფანალის“ დროს სვანები თავისი ოჯახის მიცვალებულთა სულებს ჯანმრთელობას, საქონლის გამრავლებასა და მოსავლის სიუხვეს ევედრებოდნენ. ამ მიზნით „ლიფანალის“ დღეებში ისინი სპეციალური, „წმინდა“ ფქვილისა და ნაცრის ხსნარით სახლის კარებზე, კედლებზე, საქონლის სადგომის ტიხრებზე, კიღობნებზე და ა. შ. თითოთ ხატავდნენ ადამიანთა, შინაურ ცხოველთა და ფრინველთა თუ სასარგებლო ნადირთა სილუეტებს, ხაზოვან გამოსახულებებსა და ასტრალურ-კოსმოგონიური ნიშნებს, რომლებიც ძველ სვანურ სახლებში დღემდეა შემორჩენილი.

„ლიფანალის“ პირველ დღეს, რომელსაც სვანები „ადგომს“ (აღდგომას) ეძახიან, ოჯახი სამარხო სუფრას აწყობდა. ოჯახის უფროსი, რომელიც რიტუალს წარმართავდა, საჭმელს საერთოდ არ ჭამდა და არ ლაპარაკობდა მთელი დღე, საღამო ხანს, სუფრა რომ გამზადდებოდა, კაცები ჩამწკრივდე-

ბოდნენ ფეხზე დგომით, ქალები ჩაცვცუდებოდნენ და სამარისებურ სიჩუმეში ოჯახის თავკაცი იწყებდა ლოცვას გარდაცვალებულთა სულებისათვის, ჩამოთვლიდა ყველა მიცვალებულს, შენდობას შეუთვლიდა მათ, შეეხვეწებოდა, კარგი ფეხით შემოსულიყვნენ, ოჯახის წევრი და პირუტყვი დასამარცხებლად არ გაემეტებინათ, ბარაქა მიეცათ ოჯახისთვის და თუ პატივისცემით არ იყვნენ კმაყოფილნი, ეპატიებინათ. ნავახშმევს ანთებდნენ დიდ ცეცხლს, რომ სულებს არ შესცივდნოდათ და ზღაპრების მოყოლითა და ჭიანურ-ჩანგის დაკვრით აართობდნენ მათ.



სიმბოლური გამოსახულებები საქონლის სადგომის ტიხარზე სოფელ ნაკიფარში

„ლიფანალის“ ხუთშაბათ დღეს, სვანების რწმენით, მიცვალებულები თავს იყრიდნენ ერთ ადგილას და წყვეტდნენ თავიანთი ოჯახების ბედ-იღბალს ერთი წლის მანძილზე. ამას უწოდებდნენ „ლალხორს“ (კრებას). ხუთშაბათს საღამოსვე სულები უკან ბრუნდებოდნენ და ოჯახში მათ ხორბლის ფაფით უნდა დახვედროდნენ, თუმცა კოჭლები და დავრდომილები შაბათამდე ვერ აღწევდნენ სახლამდე და ამიტომ მათ შაბათს უწყობდნენ ასეთ სუფრას. ამ დღეს „ნალტახვრას“ (დაბრუნებისას) ეძახდნენ.

გაცილების წინ, კვირას ნაშუადამევს მიცვალებულებს გამოსათხოვარ სუფრას უმზადებდნენ. ამ დროს ოჯახის უფროსი სუფრით ხელში მიუძღვებოდა მათ სახლიდან გარეთ. სუფრაზე ედგა ერთი კათხარძე, ასხურებდა აქეთ-იქით და ევედრებოდა

მიცვალებულთ, რომ კარგი ფეხი დაეტოვე-
ბინათ. ორშაბათს, კარგად რომ გათენდე-
ბოდა, ახალგაზრდები შეიკრიბებოდნენ, ხე-
ლში ხის ჯვრით და ანთებული სანთლებით
ჩამოივლიდნენ კარდაკარ და გარდაცვლი-
ლთა „სულების“ პატივსაცემად გალობდნენ:
„ქრისტე ღმერთო, ამაღლებულო, ამ ოჯახის
ახალგაზრდობა გაამრავლე, ამ ოჯახის ყველა
მიცვალებულის სული შეიწყალე“ და სხვა.

საინტერესოა, რომ „ლიფაანალის“ რი-
ტუალი დღემდე სრულდება არამარტო სვა-
ნეთში, არამედ სვანებით დასახლებულ საქა-
რთველოს სხვადასხვა რეგიონშიც. მიუხედა-
ვად იმისა, რომ სვანების დიდი ნაწილი
ეკლესიურად ცხოვრობს და მიცვალებულთა
ხსენების ეკლესიის მიერ დადგენილ დღე-
ებში საზოგადო პანაშვიდებსაც ესწრება,
„ლიფაანალის“ რიტუალს არ ღალატობს და
დიდი რწმენითა და სასოებით ასრულებს ყო-
ველ წელს.

*მასალა დამუშავებულია
მაკა ხარძიანის მიერ
ე. გაბლიანის, ბ. ნიჟარაძის,
ვ. ბარდაველიძის
მასალებზე დაყრდნობით*

ქართული კულტურისა და მეცნიერების კერები

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი

1920 წ. 1 თებერვალს ქართველი
ფერმწერის, თეატრისა და კინოს მხატვრის,
საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი შევარდნა-
ძის დიდი მონდომებითა და მრავალი
წლის მანძილზე გაწეული აქტიური შემგ-
როვებლური საქმიანობის შედეგად, თბი-
ლისში ეროვნული გალერეა გაიხსნა, რაც,
ფაქტობრივად, ხელოვნების სახელმწიფო
მუზეუმის გახსნის თარიღად შეიძლება
მივიჩნიოთ.

დ. შევარდნაძის ზრუნვა ეროვნული
კულტურის განვითარებისათვის იყო საფუ-
ძველი სამუზეუმო ექსპონატთა რაოდენო-
ბის მკვეთრი ზრდისა, რომელთა განთავ-
სება გალერეის შენობაში თანდათან შე-
უძლებელი ხდებოდა და ეს ნივთები სხვა-
დასხვა დაწესებულებაში იყო გადანაწილებ-
ული. კოლექციის დიდი ნაწილი თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინახე-
ბოდა. მაღე, 1924 წ. ხელოვნებათმცოდნის,
აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის მეცა-
დინეობით, აქვე გაიხსნა ძველი ქართული
ხელოვნების მუზეუმი, რაც მნიშვნელოვანი
საფუძველი იყო ქართული ხელოვნების
ისტორიის კვლევისათვის.

1932 წ. საქართველოს ეროვნული
გალერეის კოლექციებთან გაერთიანდა სა-
ქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის
მუზეუმის, ასევე წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელი საზოგადოებისა და თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქარ-
თული ხელოვნების მუზეუმის კოლე-
ქციები და ეროვნული გალერეის ნაცვლად
მას „სახვითი ხელოვნების ცენტრალური
მუზეუმი“ ეწოდა.

1933 წ. მუზეუმს გადასცეს ახალი შე-
ნობა, რომელიც ძველ თბილისში მეტეხის
ტაძრის ტერიტორიაზე მდებარეობდა და

ადგილმდებარეობის გამო-ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“ უწოდეს. მუზეუმის დირექტორი 1937 წლამდე მისი დამაარსებელი დ. შევარდნაძე იყო.



დომიტრი შევარდნაძე

დომიტრი შევარდნაძემ (1885-1937) განათლება პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში მიიღო. 1916 წ. მიუნხენიდან დაბრუნებული მხატვრის თაოსნობით „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“ დაარსდა, რაც ხელოვნების მუზეუმის შექმნის საფუძველი იყო. დ. შევარდნაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სამხატვრო აკადემიის დაარსების (1922), აგრეთვე ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შექმნის საქმეში. წლების მანძილზე დომიტრი შევარდნაძე საქართველოს ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. იგი ერთდროულად ცდილობდა უძველესი ქართული ხელოვნების ნიმუშების შეგროვებასა და დაცვას, ხელს უწყობდა მათი მეცნიერული შესწავლის საქმეს და ზრუნავდა თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებისათვის. მან მოახერხა XVIII-XIX სს. ქართული პორტრეტული მხატვრობის ნიმუშების შეგროვება. დ. შევარდნაძეს მნიშვნე-

ლოვანი წვლილი მიუძღვის ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოვლენასა და კოლექციის შექმნაში. დ. შევარდნაძე 1937 წლის პოლიტიკურ რეპრესიებს შეეწირა.

1945 წლიდან მუზეუმის დირექტორი 30 წლის მანძილზე აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხელოვნების მუზეუმის განვითარებისა და გამდიდრების საქმეში. მისი გარდაცვალებიდან დღემდე ხელოვნების მუზეუმი შ. ამირანაშვილის სახელს ატარებს.



შალვა ამირანაშვილი

1950 წ. ხელოვნების მუზეუმს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი მიენიჭა, ახალ შენობაში გადავიდა და დღემდე იმავე შენობაში, გუდიაშვილის ქუჩის №2-ში მდებარეობს.

მუზეუმის შენობა თავდაპირველად სასტუმროსათვის იყო განკუთვნილი, რომელიც 1825 წელს იაკობ ზუბალაშვილის დაკვეთით არქიტექტორ მ. ბერნადოცის მიერ იქნა აგებული. 1838 წელს ეს ნაგებობა საეკლესიო უწყებამ შეისყიდა და შიგსასულიერო სემინარია და სინოდი განათავსა. სამსართულიანი ნაგებობა, რომელიც ყოფილი კეცხოველის, დღეს კი გუ-

დიაშვილისა და პუშკინის ქუჩების კუთხეში დგას, მთავარი ფასადით პუშკინის სახელობის სკვერისა და თავისუფლების მოედნისაკენ არის მიმართული.

მუზეუმის შენობა თავისი არქიტექტურით გვიანდელი კლასიციზმის ნიმუშს წარმოადგენს.

2004 წელს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა. 2006 წლიდან მოხდა კოლექციების ახალი სისტემით გაერთიანება.

დღეს მუზეუმში 5 კოლექციაა:

1. ახალი და თანამედროვე ხელოვნების კოლექცია;
2. აღმოსავლეთის ხელოვნების კოლექცია;
3. შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების კოლექცია;
4. არქეოლოგიური კოლექცია;
5. ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდი;

გარდა ამისა, მუზეუმი ინახავს ხელნაწერთა მემუარულ ფონდს, ბიბლიოთეკასა და ფოტო-არქივს. ეს უკანასკნელი 2008 წლის შემოდგომიდან ერმაკოვის ლაბორატორიის დაქვემდებარებაში გადავიდა.

2006 წლიდან მუზეუმში ახალი და თანამედროვე ხელოვნების კოლექციის ინვენტარიზაცია და მონაცემთა ბაზის ელექტრონული ვერსიის შექმნის პროცესი მიმდინარეობს. დასრულებულია მუშაობა ფერწერის, ქანდაკებისა და გამოყენებითი ხელოვნების კოლექციებზე. გრძელდება მუშაობა გრაფიკის კოლექციაზე.



შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მსოფლიო მნიშვნელობის ექსპონატები ინახება, ისეთები, როგორცაა: ხახულის ტრიპტიქონი, წილკნის ღვთისმშობლის ხატი, ფერწერის ვენეციური სკოლის ფუძემდებლის, პაოლო ვენეციანოს პოლიპტიქი, აბსტრაქციონიზმის ფუძემდებლისა და თეორეტიკოსის ვ. კანდინსკის ფერწერული ტილო “სურათი წრით”. მუზეუმში დაცულია „ჟირაფი“ ნ. ფიროსმანის ნამუშევართა კოლექციიდან, ლ. გუდიაშვილის „ავტოპორტრეტი“, დ. კაკაბაძის „დეკორატიული პეიზაჟი“ და მრავალი სხვა.

ნინო ხუნდაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალი და თანამედროვე ხელოვნების კოლექციების მთავარი კურატორი

„ქართული გარმონი“

ცნობილი ეთნომუსიკოლოგების, ორგანოლოგების – ერიხ ჰორნბოსტელისა და კურტ ზაქსის კლასიფიკაციით, გარმონი აეროფონია. რამდენიმე სამეცნიერო წყარო (ენციკლოპედიები, სსრკ ხალხთა საკრავების ატლასი, ინტერნეტრესურსები) მას საბერველიანი, ენაკიანი საკრავების პნევმატურ-კლავიშებიან ქვეჯგუფად აკონკრეტებს. საბერველის გაწელვა-შეკუმშვის შედეგად წარმოქმნილი ჰაერის ჭავლი იწვევს ლითონის ენაკების რხევას. ენაკიანი საკრავების უძველეს წინაპრად ჩინური „შენგი“ გვევლინება.

ცნობილია, რომ გარმონის ტიპის საკრავების ჩამოყალიბება XVIII საუკუნის გერმანიაში დაიწყო. ხელის პირველი ჰარმონიკა 1822 წ. გერმანელ ოსტატს ფრიდრიხ ბუმმანს შეუქმნია. საკრავი ფართოდ გავრცელდა ევროპაში და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიაზე. ევროპაში პოპულარული გახდა მისი ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც „აკორდეონის“ სახელით ვიცნობთ. ეს ინსტრუმენტი ვენაში 1829 წელს კირილუს დამიანმა შექმნა. დასახელება ფრანგულია და იმითაა განპირობებული, რომ აკორდეონს მზა აკორდები აქვს (აკორდი ფრანგულად თანხმოვანებას, შეთანხმებას ნიშნავს). ასეთივე მზა აკორდებით არის შექმნილი რუსული „ბაიანი“ რომელიც 1870 წელს ქ. ტულაში შეიქმნა. რუსული დასახელება მომდინარეობს შუა საუკუნეებში მცხოვრები მოხეტიალე მუსიკოსების – ბაიანების ზოგადი სახელისგან. ბაიანს მზა აკორდები აქვს როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეს და მისი დიაპაზონი, აკორდეონთან შედარებით, დიდია.

გარმონის ტიპის საკრავია „კონცერტინა“, რომელიც ბრიტანელმა ჩარლზ უიტსონმა 1829 წ. შექმნა. გერმანული კონცერტინას დამამზადებელი ოტო შლიხტია (არსებობს ამერიკული წარმოების კონცერტინაც).



ბაიანი

გარმონის სხვა სახეობებიდან აღსანიშნავია „ბანდონიონი“. ეს დასახელება მისი შემქმნელის – ჰენრიხ ბანდონისაგან მომდინარეობს, რომელმაც აღნიშნული საკრავი XIX საუკუნის მეორე ნახევარში საეკლესიო მუსიკის შესასრულებლად დაამზადა. მოგვიანებით ბანდონიონი განსაკუთრებით პოპულარული გახდა არგენტინაში. დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, ავსტრია და სხვ.) გარმონს ჰარმონიკას უწოდებენ.



ქართული გარმონი

გარმონი შესაძლოა იყოს დიატონური და ქრომატიულიც. ამ საკრავმა სხვადასხვა ხალხის მუსიკალურ ყოფაში სახე იცვალა. ასეთი ადაპტაციის შედეგია კავკასიაში გავრცელებული ნაირსახეობა – „კავკასიური გარმონი“, რომელსაც მეორენაირად „აზიურ გარმონსაც“ უწოდებენ. კავკასიაში გარმონი XIX საუკუნეში შემოვიდა. ცნება „კავკასიური გარმონი“ ზოგადია, ვინაიდან იგი მოიცავს გარმონის ეროვნულ სახეობებს, ისეთებს,

როგორებიცაა: ქართული, აზერბაიჯანული გარმონები, ოსური ირონ-კანძალ-ფანდირი, ადიღური და ყაზარდო-ბალყარული ფშინე, დაღესტნური კომუზი.

„ქართული გარმონის“ ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარში უნდა დაწყებულიყო. იგი ინდივიდუალურად, სახელოსნოს პირობებში მზადდებოდა.

„ქართული გარმონი“ სამი ტიპისაა: 1) ადრეული – ე. წ. „თუშური გარმონი“ 2) მინიატიურული („ბუზიკა“, „წიკო-წიკო“) და 3) გვიანდელი – ე. წ. „ბასგარმონი“.

გარმონის ზომები განსხვავებულია სახეობებისა და ინდივიდუალური დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად. ჩემი დაკვირვებით და საკრავების მუზეუმის აღწერილობებით, „თუშური გარმონის“ სიმაღლე საშუალოდ 35 სმ, სიგანე კი 17 სმ-ია, „წიკო-წიკოს“ ზომებია: 10სმ/4სმ-ზე, „ბასგარმონისა“ – 40სმ/20სმ-ზე.



წიკო-წიკო

თუშური გარმონი განსაკუთრებით პოპულარულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კონკრეტულად კი – თუშეთში. ამ სახის ქართული გარმონი შედარებით ადრეა ჩამოყალიბებული. თავის მხრივ, „თუშური გარმონიც“ ორი სახისაა – დიატონური და ქრომატიული. მათში განსხვავებულია ბანების სისტემა. ეს გარმონები ძირითადად 19 ბანიანია, თუმცა არსებობს 12, 11 და 8 ბანიანებიც. როგორც წესი, „თუშური გარმონი“ შედგება 18 დიატონური კლავიშისაგან. ქრომატიულ გარმონს შესაბამისად ემატება ნახევარტონის 12 კლავიში. ბანების სისტემაზე შეიძლება იყოს დიატონური ან ქრომატი-

ული. ქართული გარმონების უმრავლესობას აქვს საინტერესო ჩამკეტი მექანიზმი – კორპუსის შიგნით მოთავსებული კაუჭა და მარყუჭი. ინსტრუმენტის წინ გადაქნევის შემთხვევაში იგი იხსნება, ხოლო უკან გადმოქნევისას იკეტება.

მინიატიურული, ჯიბის დიატონური გარმონები („წიკო-წიკო“ და „ბუზიკა“//„მუზიკა“), რომლებიც ვიზუალურად ტრადიციულ „ქართულ გარმონებს“ ჰგავს, გავრცელებულია ქართლ-კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და რაჭაში. „ბუზიკა“ ოდნავ დიდი ზომისაა, ვიდრე „წიკო-წიკო“, წესისამებრ, ისინი შედგება ერთი დიატონური ოქტავისაგან და 2 ან 3 ბანისაგან, ზოგ შემთხვევაში ბანები საერთოდაც არ აქვთ.

„ქართული გარმონის“ გვიანდელ ტიპს წარმოადგენს ე.წ. „ბასგარმონი“. შეიძლება ითქვას, რომ ის „თუშური გარმონის“ განვითარების შედეგია. თუშური გარმონისაგან განსხვავებით, ბასგარმონს 80 ბანი აქვს, სწორედ ბანების სიმრავლიდან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც. გარმონის ეს ტიპი უფრო დიდი ზომისაა, შედგება 21 დიატონური და 14 ნახევარტონური კლავიშისაგან. კავკასიურ გარმონებთან შედარებით, მისი კლავიშები უფრო განიერია.



ნიკოლოზ ჯობაძე

თუმურ და მინიატურულ გარმონებზე დაკვრის ტექნიკა განსხვავდება „ბასგარმონზე“ დაკვრის ტექნიკისაგან. „თუმურ გარმონზე“ დაკვრის ტექნიკა თუმშეთსა და რაჭაში მსგავსია, თუმცა თვით თუმების მუსიკალური აზროვნების სტილი უფრო მეტად ორნამენტულია, მელიზმატური.

ტრადიციულად, გარმონზე ასრულებენ საცეკვაო დასაკრავებს, ლირიკულ-სატრფიალო და ეპიკური ჟანრის სიმღერებს, შაირებს, იშვიათად – მგზავრულებს, ტირილებს. არსებობს კადრები, სადაც ორსართულიანი ფერხულის ცენტრში მეგარმონე დგას და სასიმღერო ჰანგს უკრავს.

მღერისას გარმონი არ მიჰყვება მელოდიას, იგი შემბანებელ ფუნქციას ითავსებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ეთნოგრაფიულ რეგიონში, სოფლის მუსიკალურ ყოფაში გარმონმა ტრადიციული საკრავები (მაგალითად, ფანდური, ჭიანური, ჭიბონი) ჩაანაცვლა. რაც შეეხება ქალაქს, აქ ის უფრო საანსამბლო საკრავად დამკვიდრდა.

უცხოეთიდან შემოსული სხვა საკრავებისაგან (მანდოლინა, გიტარა, დუდუკი, ზურნა) განსხვავებით, გარმონმა საქართველოში სერიოზული ცვლილება განიცადა – ორიგინალური ფორმა და იერი მიიღო. ვფიქრობ, ეს ფაქტი და საქართველოში გარმონის არსებობის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია საშუალებას გვაძლევს, თამამად განვაცხადოთ: „ქართული გარმონი“ დღეს უკვე ტრადიციული საკრავია, რომლის დაცვა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა.

ნიკოლოზ ჯოხაძე
*ილიას უნივერსიტეტის
ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი*

ქართული ხალხური საბავშვო თამაშები

დღეისათვის საქართველოში, ხალხური სიმღერის საბავშვო და უფროსების რეპერტუარი ძირითადად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. უფრო მეტიც, მოსწავლეთა ანსამბლების შეფასებისას, საშემსრულებლო კრიტერიუმი რთული სიმღერებით განისაზღვრება. გამონაკლისები არსებობს ანსამბლების – „ამერ-იმერის“, „ერულას“, „თუთარჩელას“ სახით, მაგრამ საქართველოში ბავშვთა მიერ ხალხური სიმღერის შესრულებაში ფაქტიურად უფროსთა რეპერტუარი ჭარბობს (იგულისხმება მცირე ასაკი). სპეციალურ ძველ და ახალ ლიტერატურაში აღნიშნულია ბავშვთა სხვადასხვა ასაკში საბავშვო თამაშების სარგებელსა და მნიშვნელობაზე.

1996 წ. საქართველოს მუსიკალური საზოგადოებისა და ანსამბლების: „მთიების“, „მზეთამზისა“ და „ამერ-იმერის“ დამარსებლის, ცნობილი ეთნომუსიკოლოგის, ედიშერ გარაყანიძის თაოსნობით ჩატარდა ხალხური სიმღერის სწავლების საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე განხილული იყო მრავალი საკითხი ბავშვთა კოლექტივებთან დაკავშირებით და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხალხში შემორჩენილი საბავშვო თამაშების გამოყენებას სასწავლო პროცესში.

ხალხური სიმღერა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ თამაში – ზღაპარი, ლექსი, სიმღერა და ცეკვა, ანდაზა, გამოცანა, ენის გასატეხი, ბავშვისთვის ჰაერით აუცილებელი სულიერი, გონებრივი, ეთიკური, ესთეტიკური, მორალური საკვებია. თუ ამ ყველაფერს შევხედავთ ბავშვის თვალთ, აუცილებლად დავრწმუნდებით მათ განუყოფლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სიმღერას, ცეკვას, თამაშს, ენის გასატეხს და ა. შ. ბავშვი არ გამო-

არჩევს ცალკე დარგებად. გარკვეულ ასაკში ეს ყველაფერი მისთვის ერთი მთლიანობაა. სინკრეტულად გააზრებულის სინკრეტულადვე აღქმა! და შეიძლება ანალოგიის მოძებნა პოლიფონიურ აზროვნებასთან. აბა დავაკვირდეთ: – რამდენიმე პლასტის ერთდროულად გააზრება და გადმოცემა! მაშასადამე, ეს ადამიანური აღქმის, აზროვნების ერთგვარი ფორმაა. ანუ პოლიფონიურ აზროვნებასთან გვაქვს საქმე. გამოდის, რომ პოლიფონიური აზროვნება ზოგადადამიანური თვისებაა, რადგან ასეთი სინკრეტულობა, რომელიც პირდაპირ ანალოგიას პოულობს პოლიფონიასთან, დედამიწაზე ყველა ადამიანს აქვს მოცემული მონოდიურ და პოლიფონიურ კულტურებშიც. გავიხსენოთ, რომ ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგი იოსებ ჟორდანიას პირდაპირ მიუთითებს პოლიფონიური აზროვნების პრიორიტეტზე მუსიკის ადრეული სააზროვნო თეორიის განვითარებისას.

პროფესორი ზურაბ კვიციანი, ფოლკლორის სახელმძღვანელოსა და ლექციების კურსში გამოარჩევს ფოლკლორის ზოგიერთ ჟანრს, რომელთაც ყველგან, ყველა ქვეყანაში ვხვდებით და მათ უნივერსალიებს უწოდებს; ნინო მახარაძე საბავშვო ინტონაციებსაც სავსებით სამართლიანად მიაკუთვნებს უნივერსალიებს, ანუ ისეთ ინტონაციებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხისთვის საერთოა.

ოთარ ჩიჯავაძე, ნინო მახარაძე, ედიშერ და გიგი გარაყანიძეები და ბევრი სხვა მკვლევარი ერთი აზრისაა იმ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, თუ როგორ ხდებოდა ამ თამაშების შესწავლა ზეპირი ტრადიციის პირობებში; რომ ცხოვრება იყო (და დღესაც რჩება) ყველაზე საუკეთესო მასწავლებელი. ფაქტობრივად, ადამიანური ყოფის ყველა სფერო აუცილებლად შეიცავდა ბავშვებისთვის თავისებურ სასწავლო მხარესაც. მუსიკოს-ანთროპოლოგთა

ნაშრომებიდან ცნობილია, რომ ადრეულ ასაკში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უფროსების მიბაძვას. ძნელი დასანახი არაა, რომ საბავშვო თამაშების დიდი ნაწილი სწორედ უფროსების მიბაძვაზეა აგებული, შემდეგ კი ცალკე თამაშადაა ჩამოყალიბებული. ქართულ ყოფაში ამისი ბევრი მაგალითი გვაქვს: „ქორწილობანა“, „მღვდელილობანა“, „მკერავობანა“, „გამყიდველობანა“, „ექიმობანა“, „მჭედლობანა“ და სხვ. (სხვათა შორის, ეს თამაშებიც შეიძლება მივაკუთვნოთ უნივერსალიებს, რადგან თითქმის ყველა ეროვნების ბავშვებთანაა გავრცელებული).

ახლა შევეხოთ თავად საბავშვო თამაშებს, რომლებიც ამ სტატიის ავტორმა გამოიყენა მრავალი წლის წინ და დღემდე იყენებს ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში მცირე ასაკის ბავშვებთან. აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ მათი გამოყენება პატარების დიდ აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევს...

„აგანგალა“ თამაში-გამოცანაა. ეს თამაში აღწერილი აქვს ფიქრია ზანდუკელს წიგნში *ფიქრები საბავშვო ფოლკლორზე*. მკვლევარი განიხილავს იმერულ მასალას. ავტორის მიერ კი ეს თამაში ჩაწერილია კახეთშიც, თიანეთშიც, ფშავეშიც – მცირედი სხვაობებით. იკვრება წრე და ერთი ბავშვი თავს გამოაცხადებს „დედად“. დგება წრის შუაში, იწყებს რომელიმე ცხოველის ან ფრინველის იმიტაციას და თან საბავშვო ორბგერიანი ინტონაციით ამბობს: „მე ესეთი თავი მაქვს, მე ხომ გრძელი ცხვირი მაქვს, მატყუარას მეძახიან, მე ფუმფულა კუდი მაქვს, მე ქათმები მიყვარს“. ამავე ინტონაციით ბავშვები ტაშის დაკვრით ორჯერ იმეორებენ: „აგანგალა, განგალა“, თან რიტმულად გადაადგილდებიან ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. როცა ე.წ. დედა დაასრულებს ცხოველის ან ფრინველის დახასიათებას, დასვამს შეკითხვას: აბა, ვი-

ნა ვარ? წრეში დამდგარმა ბავშვებმა უნდა გამოიცნონ (ამ შემთხვევაში – მელია). ბავშვები გარბიან, „დედა“ გამოეკიდება და ვისაც დაიჭერს, შემდეგი დედა ის იქნება. მშრალი აღწერთაც გასაგებია, რომ ეს თამაში სინკრეტულია: ის შეიცავს მსახიობურ მომენტებს, უვითარებს ბავშვებს რიტმის გრძნობას, აჩვენებს ინტონირებას, ითხოვს ფიზიკურ აქტივობას და რა თქმა უნდა, იმპროვიზაციის უნარს.

არანაკლებ საყურადღებოა „ქორწილობანას“ თამაში. ამ შემთხვევაში ცნობილ საქორწინო დრამატურგიას ემატება უშუალოდ საბავშვო ფერხული სახელწოდებით „დღეს თქვენი ქორწილია“. ჩემი აზრით, ამავ თამაშის ნაწილი უნდა იყოს „მეზობელო“, რომელიც ამჟამად ცალკე სრულდება, მაგრამ თემატურად „ქორწილობანას“ უკავშირდება.

თამაში რომელიმე გათვლით იწყება და სახელდება „პატარძალი“ და „ნეფე“, ასევე „მეჯვარეები“ და „მაყრები“. ამის შემდეგ ნეფე-პატარძალს წრის შუაში ჩააყენებენ, ყვავილების გვირგვინებს დაადგამენ, ხელჩაკიდებული გარს უვლიან და მღერაინ ორბგერაინი ინტონაციით: „დღეს თქვენი ქორწილია“. იმეორებენ მანამდე, ვიდრე აჩქარებული ტემპით თავბრუ არ დაეხვევათ, „ნეფე-პატარძალს“ ხან ყვავილს მოჰგლეჯენ, ხან დაპუტავენ ყვავილებს და თავზე გადააყრიან. ამ დროს ბავშვების მეორე ჯგუფი მოშორებით დადგება და ერთი მათგანი გამოსძახებს:

- „მეზობელო, მეზობელოოოოოოოოოოოო!“
- „ბატონო, რა ამბავია?“
- „ქორწილია, ქორწილიიიი!“
- „რითი მოვიდეთ?“
- „ცხვრებიტაააა“.

ამ დიალოგის შემდეგ მეორე ჯგუფი რიგში ჩადგება და ცხვრების ხმებით („მეე, მეეს“ ძახილით) მოდის პირველთან. ამასობაში პირველი ჯგუფი აკეთებს თაღს ხელებით, და მეორე ჯგუფი ისე უნდა გაძვრეს ამ თაღში, რომ არც მწკრივი დაეშალოს და არც ხმები შეწყდეს. ის, ვინც ვერ გაძვრება ამ თაღში, იმას პირველი ჯგუფი დაიტოვებს, დანარჩენები ისევ შორს გაიქცვიან და იგივე დიალოგი იმართება. თუ პასუხად მიიღებენ – „ყვავებითაო“, ყვავის ხმის იმიტაციით მოდიან; პასუხს „ცხენებითაო“ ცხენების ხვიხვინი და „ჩორთი“ ახლავს; „ძროხებითაო“ – ძროხის ზმუილი და ა.შ. საბოლოოდ ეტყვიან „დიმპიტაურითაო“ და მოდიან ცეკვა-ხტუნვით. მხოლოდ ამის შემდეგ პირველი ჯგუფი მეორეს სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟებს. ამ თამაშის შემდეგ იმართება სხვადასხვა საქორწინო ქმედებები, მაგ. „ჯვრისწერა“ – რომელიმე ბავშვი „მღვდლობას“ თაობს და საოცრად აჯავრებს მღვდლის კითხვას, რომელიღაცა „თამადაა“ და დალოცავს, რომელიღაცა მომღერალია და ა.შ.

სამწუხაროდ ამგვარი საბავშვო თამაშებიდან ბევრი დაკარგულია, ზოგის მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი, მაგრამ გასაოცარი საიდუმლო ინახება მათში. საბავშვო თამაშებში თავმოყრილია: სმენის, რიტმის, მოძრაობის, გონიერების, მეხსიერების გასავარჯიშებლები, რაც თანამედროვეობასთან ადაპტირების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს მოაზროვნე და ჰარმონიულად განვითარებული თაობების აღზრდას.

ქეთევან ბაიაშვილი

*ეთნომუსიკოლოგი,
ქართული ხალხური სიმღერისა და
საკრავების სახელმწიფო მუზეუმის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

ქართული ხალხური სიმღერა-თამაშები


„ციცინათელა, ჩემთან მოდი!“ (ციცინათელას დასაჭერად, რაჭული).

ჩაწ. კახი როსებაშვილმა 1967 წ. თბილისში

№1



ცი-ცი-ნა - თე-ლა, ჩე-მთან მო-დი, ე - რბოს გა - ჭმევე, ხა - ჭვას გა - ჭმევე,
tsi - tsi - na - te - la, che-mtan mo - di, e - rbos ga-chmev, kha-chvas ga-chmev,



ი - სე გა - გი - შვებ დე - და - შე - ნთან.
i - se ga - gi - shveb de - da - she - ntan.

„ჭია, ჭიამაია!“ (მოსალოდნელი ამინდის ამოსაცნობად)

ჩაწ. ნინო მახარაძემ 1997 წ. თბილისში

№2



ჭი - ა ჭი - ა - მა - ი - ა, ხვალ თუ კა - რგი და - რი - ა, გა - ფრი - ნდი!
chi - a chi - a - ma - i - a, khval tu ka - rgi da - ri - a, ga - pri - ndi!

„ხაჭაპურო“ (დაბადების დღის ფერხული-თამაში, აჭარული).

ჩაწ. ედიშერ გარაყანიძემ 1988 წ. აჭარაში

№3



დღეს ნეს - ტა - ნის დღე - ო - ბა - ზე გა - მო - ვა - ცხეთ ხა - ჭა - პუ - რი
dghes nes - t'a - nis dghe - o - ba - ze ga - mo - va - tskhet kha - ch'a - p'u - ri



ა - ი, ა - მის სი - მა - ლლე - ზე, ა - ი, ა - მის სი - და - ბლე - ზე,
a - i, a - mis si - ma - ghle - ze, a - i, a - mis si - da - ble - ze,



ა - ი, ა - მის სი - ფარ - თე - ზე, ა - ი, ა - მის სი - ჭუჭ - ნე - ზე.
a - i, a - mis si - par - te - ze, a - i, a - mis si - ch'uch' - ne - ze.

ნიმუშები მოგვარდა ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნინო მახარაძემ.

რედაქტორი:

მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:

მანია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარძიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2017

eISSN-1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი,
0108, გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953-ფაქსი: (+995 32) 2987187

E-mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2017 წლის დეკემბერში